ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 23 – 24 სექტემბერი, 2017 №226 (7460) ფასი: 50 თეთრი

## სტამბოლში ორი სირიელი ჟურნალისტი მოკლეს




გვ.3

22 სექტემბრიდან




ალექსანდრე იასალაშვილი

შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# ადვოკატი რამიშვილი: მეუფე იაკობს სასამართლოში ვუჩივლებ თუ ბოდიშს არ მომიხდის



„ჭორაობის დონეზე რაღაც ინფორმაციები ჰქონდათ. ამაზე სვამდნენ კითხვებს და უნდოდათ, რომ მამა გიორგისგან დადასტურება მიეღოთ. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ სახელმწიფომ ძალიან ცუდად დაიწყო ხელის ფათური ეკლესიის შიდა საქმეებში. ამაზე პროტესტს ადვოკატებიც გამოვთქვამდით და მამა გიორგიც აღშფოთებული იყო. კითხვები მარტო პატრიარქზე არ იყო დასმული. აინტერესებდათ, რა ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან სასულიერო პირებს"



გვ.2



## „მაიძულეს მეთქვა, რომ მე, მაია ნიკოლეიშვილმა, განვიზრახე ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული გზით“

გვ.4




## მამუკა ტუსკაძე: „კონსტიტუცია ღლევანდელმა ხელისუფლებამ ჯიბეში ჩაიდო“

გვ.4

## მამუკა კაციტაძე: „ბესელიას უკადრებლად ეშლება ყოფილი კოლეგების წინაშე“



გვ.5

„საკონსტიტუციო ცვლილებებს ოპოზიცია პოლიტიკურად არალეგიტიმურად გამოაცხადებს“

## გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ ძალიან მოკლე საკადრო სკამი აღმოაჩნდა“

„პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალია“



გვ.3

## საქართველოს ქალაქებს შორის ყველაზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში ფიქსირდება



გვ.6

ISSN 1987-9385

გვ.6



## მაია ბითაძე: „მდინარე მტკვარს სათანადო ყურადღება დაეთმობა“

## რა ღირს სახლის მშენებლობა თბილისსა და მის შემოგარენში?



გვ.6

# ადვოკატი რამიშვილი: „მეუფე იაკობს სასამართლოში ვუჩივლებ თუ ბოდიშს არ მომიხდის“



შორენა მარსაგიშვილი

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ციანიდის საქმეზე სკანდალები კიდევ დიდხანს გაგრძელდება. სასამართლოზე დეკანოზ გიორგი მამალაძის მიერ წარმოთქმული დასკვნითი სიტყვა ნაწილობრივ გასაჯაროვდა. ამას უკვე მოჰყვა სკანდალი. დეკანოზის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ მთავარი სკანდალები წინ არის.**





სკანდალში თავად მიხეილ რამიშვილიც გაეხვია. მას მეუფე იაკობმა მეუფე პეტრეს მაბეზღარა და გირგვლიანის საქმეზე ნაციონალების მიერ შეგზავნილი უწოდა. ადვოკატი ელოდება, რომ ბოდბელი ეპისკოპოსი ამ განცხადებების გამო ბოდიშს მოიხდის. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასამართლოს მიმართავს.

რატომ გადაწყვიტა მეუფე იაკობისთვის ეჩივლა, რატომ არ გაახმაურა დაცვის მხარემ აქამდე, რომ დეკანოზს, როგორც ის ამბობს, ფოტოსურათებით აშანტაჟებდნენ, რა უთხრა სანდრო გირგვლიანის დედამ? – ამ თემებზე მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– სასამართლოზე დეკანოზ გიორგი მამალაძის მიერ წარმოთქმული დასკვნითი სიტყვის გასაჯაროებას დიდი ამბები მოჰყვა. იქ მან ისაუბრა, რომ ცდილობდნენ მისგან ისეთი ინფორმაციები მიეღოთ, რომლებითაც პატრიარქის და შანტაჟებას მოახერხებდნენ. თქვენ ამ საქმეზე არაერთი სკანდალური განცხადება გააკეთეთ, მაგრამ ამის შესახებ რატომ არაფერი თქვით?***

– როგორ არ ვსაუბრობდი. გახსოვთ, ჯარჯი წიკლაური და სხვა პროკურორები დაკითხვიდან რომ გამოდიოდნენ და ამბობდნენ, დეკანოზი კრიტიკულ შეკითხვებს პასუხს არ სცემსო. მე მაშინ ვთქვი, რომ მას ისეთ კითხვებს უსვამდნენ, რაც საქმესთან კავშირში არ იყო. ეს კითხვები საპატრიარქოს შიდა საქმეებში ჩარევა იყო.

მოდით, ისიც პირდაპირ ვთქვათ, რომ მამა გიორგი არ დაუკავებიათ, ის აეროპორტიდან გაიტაცეს. მოიტაცეს და ცდილობდნენ ელიარებინა, რომ პატრიარქის მკვლელობას ამზადებდა. თანამონაწილეებად მეუფე დიმიტრის და სოსო ოხანაშვილის დასახელებას სთხოვდნენ.

პროკურორები მამაოს ძალიან უცნაურ კითხვებს უსვამდნენ და ამაზე გამუდმებით ჩხუბი გვქონდა. ვერ ვგებულობდით, რა შუაში იყო ეს კითხვა საქმესთან.

***– რა ტიპის კითხვები იყო?***

– ჭორაობის დონეზე რაღაც ინფორმაციები ჰქონდათ. ამაზე სვამდნენ კითხვებს და უნდოდათ, რომ მამა გიორგისგან დადასტურება მიეღოთ. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ სახელმწიფომ ძალიან ცუდად დაიწყო ხელის ფათური ეკლესიის შიდა საქმეებში.

ამაზე პროტესტს ადვოკატებიც გამოვთქვამდით და მამა გიორგიც აღშფოთებული იყო.

კითხვები მარტო პატრიარქზე არ იყო დასმული. აინტერესებდათ, რა ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან სასულიერო პირებს.

დაკითხვის დროს არაერთხელ გამორთეს ვიდეოკამერა და ვითომ ისე მიდიოდა საუბარი. თავიდან პირდაპირ უთხრეს, რომ თუ აღიარებ იმას, რასაც ვითხოვთ, პრობლემები არ გექნებაო. მერე დაიწყეს ლავირება.

მამაო გადაირია, გაუგონარი კითხვები იყო. მან სასამართლოზეც ისაუბრა ამაზე. რაც მისთვის ცნობილი არ იყო, იმაზე როგორ უნდა მიეცა ჩვენება. ჭორაობით კაცმა შეიძლება დილამდე იჭორაოს.

***– საპატრიარქოსთვის არ იყო ცნობილი, რა კითხვებს უსვამდნენ მამა გიორგის?***

– მე არ ვიცი, იყო თუ არა ეს საპატრიარქოსთვის ცნობილი. მე ვხედავ, რომ მის წარმომადგენლებს ჩვენთან აქვთ პრეტენზიები. თუ ასეთი უვარგისი ადვოკატი ვარ, ან ნანა კაკაბაძეს რა ანერვიულებს, ან მეუფე იაკობს.

ამ ადამიანს მე ამიერიდან მეუფედ აღარ მოვიხსენიებ. მან იბერიას ეთერში გაუგონარი რამეები თქვა. ეს იყო საპატრიარქოს დისკრედიტაცია. ან რას ნიშნავს, როცა ამბობს, მე გამოვიძიებო. ასე თუ უნდა გამოძიება, წავიდეს და პროკურატურაში იმუშაოს.

***– ეს საქმე აშკარად სერიოზულად გამოსაძიებელია. ახალ-ახალი სკანდალები არ თავდება. კიდევ რამეს უნდა ველოდოთ?***

– აბა როგორ გითხრათ, მე ადვოკატი ვარ, ტელესერიალის რეჟისორი კი არა. თავიდანვე ვუთხარი საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას, ჩვენ თქვენს საქმეში არ ვერევით, მაგრამ არ ივარგებს, ხალხის ყურამდე რომ მივა ეს ამბები. სხვა შეხედულებები გაჩნდება და მათ რწმენას ნუ დაუკარგავთ.

ამაზე ქარჩავამ მიპასუხა, მიშიკო, ნუ ინერვიულებ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთო. რას აკეთებენ, ნამდვილად არ ვიცი. ხომ ხედავთ, ციანიდი აღარ აინტერესებთ და ახლა ჩემზე გადმოერთნენ. რას მოიგებს ამით ის სასულიერო პირი, რომლის სახელსაც აღარ ვახსენებ.

ამ ადამიანმა მე გირგვლიანის საქმეში შეგზავნილი მიწოდა. ამით მთელ გირგვლიანებს და ირინა ენუქიძეს შეურაცხყოფა მიაყენა.

შვილმკვდარი დედა ყველას ეჭვის თვალით უყურებს. ირინაც ასე იყო და ისე მენდობოდა, სანდროს მომავალი მეუღლისთვის ნაყიდი ბეჭედი ჩემს ბიჭს აჩუქა, რომელიც მაშინ დაიბადა.

ამის მერე ჩემზე როგორ უნდა თქვას ვინმემ, რომ შეგზავნილი ვიყავი და ვიღაცას ვაწვდიდი ინფორმაციას. იმ საქმეში მართლა შემომთავაზეს ფული, მაგრამ თავზე დავახურე სუყველას და გამოვყარე.

ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა და ამ ბრალდების გამო სასამართლოში მოუწევს მოსვლა.

***– მეუფე იაკობის წინააღმდეგ აპირებთ სარჩელის შეტანას?***

– ბოდიშს თუ მოიხდის და ცილისწამებას უარყოფს, არ ვიჩივლებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს მივმართავ და იქ მოიტანოს მტკიცებულებები. ამ შეურაცხყოფას უპასუხოდ არ დავტოვებ. ეს არის ჩემი პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და გვარის შეურაცხყოფა.

აგენტები და შეგზავნილები თავისკენ მოიკითხონ და ჩემზე ასეთ ლაპარაკს არ უნდა ბედავდნენ. ისიც გასარკვევია, რატომ არ მოგვცეს უფლება, პატრიარქისთვის ყველაფერი გვეთქვა.

***– ვინ გიშლიდათ ხელს მასთან შეხვედრაში?***

– ისინი, ვისაც არ უნდოდა, სიმართლე გარკვეულიყო. ეს ხელის შეშლა კი არა, თავიდან ბოლომდე ყველაფერი დაბლოკილი იყო. მამა გიორგის ოჯახის წევრებმაც მხოლოდ 6 თვის მერე მოახერხეს უწმინდესთან შეხვედრა.

***– ისიც ადვოკატების გარეშე.***

– ეს მთავარი მოთხოვნა იყო. ჩვენ ერთხელ შევხვდით პატრიარქს. იმ შეხვედრაზე ილია II-ს ვესაუბრეთ. ის გერმანიიდან ახალჩამოსული იყო. მან პირდაპირ თქვა, რომ მამა გიორგის სიმართლეში დარწმუნებული იყო. თქვა, რომ ამას მამა გიორგი არამცთუ არ მოამზადებდა, გულშიც არ გაივლებდა.

ჩვენ მას ვუთხარით, რომ თავდებში დასდგომოდა და გამოძიების დასრულებამდე მამა გიორგი მის გვერდით ყოფილიყო. ის თავიდან თანახმა იყო.

***– მერე რა შეიცვალა?***

– მერე მასთან შევიდნენ და უთხრეს, თქვენო უწმინდესობავ, მამა გიორგი გარეთ რომ გამოვიდეს, მას ხალხი მოკლავსო. პატრიარქი მის სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ როგორ დააყენებდა და პოზიცია შეცვალა.

* * *

ამ საქმეს კიდევ ბევრი სკანდალი მოჰყვება. 22 სექტემბერს მამა გიორგის დასკვნითი სიტყვის კიდევ ერთი ფრაგმენტი გასაჯაროვდა. ჩანაწერი რუსთავი 2-მა გაავრცელა. დეკანოზი ამჯერადაც სკანდალურ განცხადებებს აკეთებს.

მამა გიორგი პროკურატურის მთავარ მოწმეს ტყუილში ადანაშაულებს და სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. ამბობს, რომ ირაკლი მამალაძემ ფულის გაკეთება გადაწყვიტა, როცა გაიგო, რომ ის ციანიდს ეძებდა.

– ირაკლი მამალაძემ, როგორც კი გაიგო, რომ უკრაინაში ვერ ვიშოვე ნივთიერება, მან გადაწყვიტა, მისი დახმარების შემოთავაზებით მატერიალური სარგებლის მიღება და ნივთიერება, რომლის შოვნა 1.500-დან 2.500 აშშ დოლარამდე ღირს, მან გრამის შეძენა 2.000-დან 3.000 დოლარის ფარგლებში შემომთავაზა, რომ აღარაფერი ვთქვა მანამდე შემოთავაზებულ 10, 7 და 5 ათას დოლარზე.

ირაკლი მამალაძემ ციანიდის შეთავაზების შემდეგ მატერიალური სარგებლის მიღება ვერ მოახერხა და ახალი გეგმა დასახა, რომელიც ჩემს სახლში იარაღის შენახვას უკავშირდება.

იარაღის ნაწილში ირაკლი მამალაძე ტყუის, რომელსაც პროკურატურა ასე ურცხვად აფარებს ხელს. პროკურატურამ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი არაპროფესიონალიზმი ელემენტარული საქმის წარმოებისას. ბრალდება ტენდენციურია ყველა მიმართულებაში, მათ შორის, იარაღის ნაწილზე, რაც იმით ვლინდება, რომ მათ არ გადაამოწმეს მამალაძის შემხებლობა იარაღთან შესაბამისი ექსპერტიზებით, -– აღნიშნა დასკვნით სიტყვაში დეკანოზმა.

მამა გიორგი პროკურატურას ფსიქოლოგიურ ზეწოლაში კიდევ ერთხელ სდებს ბრალს. მისი თქმით, ეს ზეწოლა გრძელდება.

– თითქოს მე კრიტიკულ კითხვებს პასუხს არ ვცემდი, ფსიქოლოგიური ზეწოლაა, როდესაც მეშვიდე თვეა, აკრძალული მაქვს ოჯახთან კავშირი, ეს იქნება სატელეფონო თუ სხვა საკომუნიკაციო წყარო, – განაცხადა მამა გიორგი მამალაძემ.

დასკვნით სიტყვაში იმასაც ამბობს, რომ, სხვა დაკავებულებისგან განსხვავებით, მას ციხის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტებით სარგებლობის უფლება არ ეძლევა.

– ჩემთვის განკუთვნილი ერთი ულუფაც კონტროლით მომეწოდება, რომელსაც დაწესებულების დირექტორი, მორიგე ექიმი, ექთანი, მთავარი ექიმი, უსაფრთხოების უფროსი და უსაფრთხოების თანამშრომლები აწერენ ხელს. მიზეზი ჩემი ლიკვიდაციის საფრთხეა, რაც მცდელობაა, ფსიქოლოგიური ზეწოლით მიიღონ აღიარება არარსებული დანაშაულის, – ამბობს დეკანოზი.

დასკვნით სიტყვაში ის სამების საკათედრო ტაძარში გაჩენილ ხანძარსაც იხსენებს. ამ ხანძარს ბევრი ჭორი მოჰყვა.

ამასთან დაკავშირებით პრესაში რამდენიმე სკანდალური წერილი გამოქვეყნდა. მეუფე იაკობი და პატრიარქის დაცვის სამსახურის მაშინდელი უფროსი სოსო ოხანაშვილი მაშინ დაუპირისპირდნენ ღიად ერთმანეთს.

მამა გიორგი მამალაძის თქმით, ის იყო სამების ტაძრის სარეაბილიტაციო კომისიის წევრი. ამაზე დაყრდნობით კი, ბრალდება მას 2 მილიონი ლარის მითვისებას აბრალებდა

დასკვნით სიტყვაში ის ამბობს, რომ სარეაბილიტაციო კომისიაში მასთან ერთად სხვა სასულიერო პირებიც მუშაობდნენ და კომისიაში განსაკუთრებული უფლებით არ სარგებლობდა.

– მსგავსი ლოგიკით, თანხები კომისიის თავმჯდომარეს, ტაძრის წინამძღვარს მამა ილია ნასიძეს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, საპატრიარქოს კომენდანტს მამა კახაბერ გოგოტიშვილს, პატრიარქის მდივანს მამა მიქაელ ბოტკოველსაც უნდა მიეთვისებინათ. კომპანია, რომელიც სამუშაოებს ასრულებდა, მეუფე იაკობის მიერ იყო დაქირავებული და ფინანსებთანაც შეხება მეუფეს ჰქონდა მხოლოდ, – აცხადებს მამა გიორგი მამალაძე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მარგველაშვილი: „ოკუპირებულ ერედვში რუსების ფულით ქართველ დევნილთა სახლების დანგრევა ქართული კვალის წაშლას ისახავს მიზნად“

საქართველოს პრეზიდენტის ოკუპირებულ სოფელ ერედვში რუსეთის ფედერაციის დაფინანსებით დევნილი მოსახლეობის სახლების ნგრევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

– ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდა ეთნიკური წმენდა, საოკუპაციო ძალა ახორციელებს მორიგ ვანდალურ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების წინააღმდეგ.

ოკუპირებულ სოფელ ერედვში რუსეთის ფედერაციის დაფინანსებით ხდება დევნილი მოსახლეობის სახლების ნგრევა, რაც მიზნად ისახავს ქართული მოსახლეობის კვალის ამოშლას საქართველოს ამ ძირძველი ტერიტორიიდან.

ეს არის 2008 წელს განხორციელებული ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გაგრძელება და ქმედება მიმართული ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისაკენ. ეს არის დანაშაული მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებამ უმკაცრესი შეფასება უნდა მისცეს, – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.



სოფელ ერედვში, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის დაფინანსებითა და სამშენებლო კომპანია „შანსის“ ტექნიკით, საცხოვრებელი სახლების კედლებს ანგრევენ და მიწას საძირკვლისგან ასუფთავებენ.

ამის შესახებ ინფორმაციას ცხინვალის ტელევიზია ავრცელებს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, კომპანიამ წლის ბოლომდე სოფელი ერედვი ყველანაირი კონსტრუქციისგან უნდა გაწმინდოს. დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის მშენებლობის მართვის სამსახურის უფროსის, ვალერი კოკოევის თქმით, გათვალისწინებულია სოფელ ერედვის გაწმენდა 268 სახლისგან.

– ორ კვირაში ნახევარი ტერიტორია უკვე გაწმენდილია, 163 სახლის მიწისზედა ნაგებობა გატანილია და ადგილი უკვე მოსწორებულია. იგეგმება გათავისუფლებული ტერიტორიის გადაცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, – აცხადებს კოკოევი.

ცხინვალის ტელევიზიის ცნობით, ტერიტორიის გასუფთავება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სოციო-ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში“ ხორციელდება. აღნიშნული პროგრამა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან 4,2 მლდ რუსული რუბლით, (დაახლოებით 70 მლნ დოლარი) ფინანსდება.

# გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ ძალიან მოკლე საკადრო სკამი აღმოაჩნდა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არა აქვს აზრი, თუ ვინ იქნება პარტიების საარჩევნო სიების შემადგენლობაში, რატომ არის პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალი, რატომ ვერ მოიცლის სააკაშვილი ამ ეტაპზე საქართველოსთვის? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**



## „პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალია“

***– საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა „ოცნების“ პროპორციული სიის გამოქვეყნებას. სიამ ბევრის იმედგაცრუება გამოიწვია. ამბობენ, რომ მმართველ გუნდს ზედმეტად მოკლე სათადარიგო სკამი აღმოაჩნდა. თქვენი შეფასება როგორია?***

– პარტიების პროპორციულ სიებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, როცა ამომრჩეველი მთლიანად იმედგაცრუებულია პარტიული პოლიტიკით. ჩვენი ამომრჩეველი ახლა სწორედ ასეთი იმედგაცრუებულია. მას არ აქვს არც პარტიების იმედი და არც მათი პერსონალური შემადგენლობა არ აინტერესებს.

ეს პერსონები მთლიანად ასოცირდებიან იმ განწყობასთან, რაც ჩამოყალიბდა პარტიების მიმართ, საუბარია როგორც ხელისუფლებაზე, ასევე ოპოზიციაზე. ეს განწყობა არ არის პოზიტიური. შესაბამისად, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მანქანაში, რომელიც არ იქოქება, რომელი ჭანჭიკი სად იქნება.

საჭორაოდ და სალაპარაკოდ სიის შემადგენლობა შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ სისტემურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს პარტიულ სიებს.

***– მხოლოდ ამიტომ დაიწერა ასეთი სიები, რომ ხალხისთვის უკვე სულერთია, ვისზე გააკეთებენ პარტიები არჩევანს?***

– არა მგონია, რომ ეს გაეთვალათ. მათ თავისი გასაჭირი აქვთ, უამრავი პრობლემაა პარტიის შიგნით. გასაგებია, რომ „ქართულ ოცნებას“ საკადრო სკამი საერთოდ არა აქვს. ამ სიების შედგენა სპონტანურად ხდება – ვიღაცა ვიღაცას იცნობს, ვიღაცა რაღაცას ხლაფორთობს, ვიღაცა თავისი ბოსტნის გაფართოებას ცდილობს.

ასეთ იაფფასიან თამაშებთან გვაქვს საქმე. ეს არ უკავშირდება სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესს. ეს არის პატარა ადამიანების შიდა კინკლაობის შედეგად მიღებული გარანტიები და ლოკალური ამბიციების დაკმაყოფილების საშუალება.

ამ სიებში სხვა ადამიანები რომ ჩაეწერათ, იგივეს ვისაუბრებდი. ცნობადია თუ არა სახე, ეს უკვე არაფერს ნიშნავს. პარტიების საარჩევნო სიები არის ერთიანი რუხი, გათქვეფილი და გადღაბნილი მასა, სადაც ადამიანური და პროფესიონალური ფაქტორი უბრალოდ არ არსებობს.

***– „ოცნების“ სიაში ვისი კადრები სჭარბობს – პრემიერის, ვიცე-პრემიერის თუ მერობის კანდიდატის?***

– ალბათ მეტი პრიორიტეტი ექნებოდა მერობის კანდიდატს, კახა კალაძეს. არც ამას აქვს მნიშვნელობა, თავად კალაძე არ არის პოლიტიკური ფიგურა.

ამ არჩევნებზე ხელისუფლება მთლიანად ივანიშვილის რესურსზე და ავტორიტეტზე დგას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ის მონაწილეობს თუ არა პროცესში. ის არის ქართულ პოლიტიკაში ერთადერთი ფიგურა, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ განვითარებაზე.

პარტიულ სიაში შეყვანილი ადამიანები შესაძლოა ძალიან კარგები არიან, ან პირიქით – ცუდები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ისევე, როგორც კალაძე. ვიტყოდი, რომ ის უფრო პრობლემურია „ოცნებისთვის“, ვიდრე ნებისმიერი ურეიტინგო და უავტორიტეტო ფიგურა.

კალაძე სხვაზე უფრო ავტორიტეტული ჩანს, მაგრამ საკმაოდ მაღალი უარყოფითი რეიტინგი დააგროვა. აი, ეს უარყოფითი რეიტინგია „ოცნებისთვის“ პრობლემა.

***– ივანიშვილი მონაწილეობს ამ პროცესებში?***

– არა მგონია, რომ ის აქტიურად იყოს ჩართული ამ პროცესებში. მას „ოცნება“ ტესტირების რეჟიმზე ჰყავს გადაყვანილი. ეს მეთოდი ყველა ოჯახში გამოიყენება, როდესაც შვილი სიმწიფის ასაკს უახლოვდება, ნებისმიერი მშობელი ცდილობს, მას დამოუკიდებლობა მისცეს და ნახოს, როგორ შეძლებს შვილი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტას.

ასე იქცევა ივანიშვილიც, მას „ოცნება“ მიშვებული ჰყავს და დისტანციურად აკონტროლებს. აკვირდება, რამდენად სიცოცხლისუნარიანია ეს გუნდი რეალურ სამყაროსთან ურთიერთობაში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ოცნებამ“ მიაღწია სიმწიფის ასაკს. ის ჯერ ისევ თინეიჯერია და, სამწუხაროდ, თინეიჯერად რჩება 40 წლის ასაკშიც კი. ასეთი გადამწიფებული თინეიჯერები ბევრი დადიან. 40 და 45 წლის ბირჟავიკების მეტი რა გვინახავს ამ ქალაქში, ლუდის სმის და ფურთხების მეტს რომ არაფერს აკეთებენ.

დაახლოებით ასეთია „ქართული ოცნება“, მას ტყუილად კი არ ვეძახი გადამწიფებულ თინეიჯერს. გადაწყვეტილების მიღების და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარები ვერაფრით შეიძინა. ამიტომ შესაძლოა ბევრს არაფერს აფუჭებს, მაგრამ არც არაფერს აკეთებს.

***– სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ტესტირების ეს რეჟიმი?***

– პირველ სერიოზულ კრიზისამდე. პროცესები ისე მიდის, რომ, სამწუხაროდ, კრიზისი გარდაუვალია.

***– და ის რაც დღეს ხდება, კრიზისი არ არის?***

– სერიოზულ კრიზისამდე ჯერ არ მისულა საქმე, „ოცნებას“ სერიოზული ალტერნატივა არ გამოუჩნდა. ის თუ თინეიჯერია, მისი საპირწონე კრიმინალია. დღეს პოლიტიკას ქმნიან კრიმინალისადმი მიდრეკილები, გადამწიფებული თინეიჯერები და დედიკოს ბიჭები. აი, ეს არის დღევანდელი პოლიტიკური ელიტა.

ნამდვილი პოლიტიკური კრიზისი დაიწყება მაშინ, როდესაც გამოჩნდება რეალური ტიპი, რომელსაც ამბიციებიც ექნება, უნარებიც და შესაძლებლობებიც. პოლიტიკურ ბირჟაზე ასეთი როგორც კი გამოჩნდება, ყველა დანარჩენს დაეწყება პრობლემები. მერე მამიკო ანუ ივანიშვილი იძულებული გახდება, გადამწიფებული თინეიჯერი შვილის დასახმარებლად ჩაერიოს.

***– პოლიტიკურ ბირჟაზე სააკაშვილის გამოჩენა არაფერს შეცვლის?***

– ჩვენი ხელისუფლება ძალიან უცნაურად ცდილობდა, რომ ამ პროცესებში შეტენილიყო. საბედნიეროდ, უკრაინაში მოვლენები სხვანაირად განვითარდა. ამიტომ სააკაშვილის თემის აქტუალიზაცია ვერ მოხდება. მეტსაც გეტყვით, ის საქართველოში რომც გამოჩნდეს, არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება. უახლოეს წლებში ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. მისთვის ვერდიქტი გამოტანილია და საქართველოში სასჯელი არ მოუხდია.

დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლია, მაგრამ მას ჯერ საქართველოსთვის არ სცალია. ის ჯერ უკრაინაში ალაგებს პოლიტიკურ პროცესებს. ასე რომ, ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია ცოტა ხანს მშვიდად ვიყოთ.

***– ჩვენზე მეტად ალბათ ხელისუფლება იქნება მშვიდად.***

– რატომ მარტო ხელისუფლება? სააკაშვილი ქვეყნისთვისაც უარყოფითი მოვლენაა. ერთი მხრივ, ის გააცოცხლებდა პოლიტიკურ პროცესებს, რაც ცუდი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი ადგილი ნეგატიურ სივრცეშია. ნეგატიური დღის წესრიგი სახელმწიფოსთვის დამაზიანებელია.

პოლიტიკურ ბირჟაზე სულ სხვა ტიპი უნდა გამოჩნდეს, „ოცნებას“ რომ პრობლემები დაეწყოს. ეს როდის მოხდება, არ ვიცი, მაგრამ კრიზისი გარდაუვალია.

***– ამ ახალ ტიპსაც იგივე ხომ არ დაემართება, რაც შარშან პაატა ბურჭულაძის შემთხვევაში მოხდა. გამოჩნდა თუ არა, მაღალი რეიტინგი აკრიფა, მაგრამ შემდეგ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.***

– გააჩნია, ვინ გამოჩნდება პოლიტიკურ ბირჟაზე. მე რეალურ ალტერნატივაზე ვსაუბრობ. პაატა ბურჭულაძე არც ყოფილა რეალური ალტერნატივა, ის უფრო ეპიზოდური ალტერნატივა იყო.

***– თუმცა ჰქონდა შანსი, გამხდარიყო მესამე ძალა.***

– ამის შანსი ჰქონდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავად იყო მაგარი. მესამე ძალაზე საზოგადოებაშია მაღალი მოთხოვნა. პაატა ბურჭულაძე იმ დროისთვის ერთგვარი ხავსი გამოდგა, რომელსაც ის ჩაეჭიდა. აღმოჩნდა, რომ ის მართლა ხავსი იყო და არა უმეტეს ამისა.

პოლიტიკურ ბირჟაზე რეალური ტიპები უნდა გამოჩნდნენ, რომლებიც მიწაზე მყარად დგანან.

***– ასეთი ტიპი არის თუ არა ოპოზიციურ სპექტრში?***

– არა, დღევანდელი ოპოზიცია „ქართულ ოცნებაზე“ არანაკლებ უბედურებაშია.

# სტამბოლში ორი სირიელი ჟურნალისტი მოკლეს

ორი სირიელი ოპოზიციონერი ჟურნალისტი ორუბა ბაკარატი და მისი ქალიშვილი ჰალა სტამბოლის ერთ-ერთ რაიონში, საკუთარ ბინაში მოკლული იპოვეს. ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განუცხადა.

– სირიის მოქალაქის, 60 წლის ორუბა ბაკარატის და მისი 17 წლის ქალიშვილის ჰალას ცხედრები ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობებით სტამბოლის რაიონ უსკუდარში, მათ ბინაში იპოვეს. მიმდინარეობს გამოძიება, – აღნიშნა პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

თურქული მედიის ინფორმაციით, ორუბა ბაკარატი ცნობილია სირიულ ციხეებში ოპოზიციონერების წამების შესახებ სტატიებით. ის დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა, საიდანაც საცხოვრებლად ჯერ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, შემდეგ კი სტამბოლში გადავიდა. მისი ქალიშვილი გაზეთ Orient News-ის ჟურნალისტი იყო.



# „მაიძულეს მეთქვა, რომ მე, მაია ნიკოლეიშვილმა, განვიზრახე ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული გზით“

## „მჯერა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან“

ნონა ცაბაძე

**საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული 14 მსჯავრდებულის მიმართ, რომელთა შორისაც არიან მაია ნიკოლეიშვილი, ზაზა დავითაია, თემურ ჟორჟოლიანი და ვახტანგ ტალახაძე, გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო.**

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელ ექსპერტს, მაია ნიკოლეიშვილს ესაუბრა.

***– ქალბატონო მაია, პროკურატურამ 14 პირის, მათ შორის თქვენ საქმეზე ხელახალი მოკვლევა და გადასინჯვა დაიწყო. რის საფუძველზე მოხდა ეს ყველაფერი?***

– როგორც კი შეიცვალა ხელისუფლება, ჩვენ მივმართეთ პროკურატურას. შევიტანეთ განცხადება, სამწუხაროდ, მაშინ დაწყებული მსვლელობა შეჩერდა. მე მივედი და ყველაფერი ვთქვი, რომ ჩემი ჩვენება ზეწოლით იყო მიცემული. რალაცნაირად მოხდა ისე, რომ ის მსვლელობა შეჩერდა. მაშინ მოდულის შენობაში იყო ეს დეპარტამენტი. მოგვიანებით კი განმეორებით მოხდა ჩვენ მიერ ამ განცხადების შეტანა.

***– გამოძიება დაწყებულია?***



– დიახ, გამოძიება მიმდინარეობს რამდენიმე წელია. ნათქვამია, სამართალი ურმით მოდისო და 11 წლის შემდეგ მაინც მოვიდა სამართალი ჩემთვის და იმ ადამიანებისთვის.

***– პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს იყო ანგარიშსწორება.***

– რა თქმა უნდა, ეს იყო ანგარიშსწორება. ადამიანები, რომლებსაც მსგავსი რამ არც კი გაუფიქრებიათ, ეს იყო ამ ადამიანების დასჯა და სხვა ადამიანების დაშინება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ყველაზე ცუდი, იცით, რა იყო?!

***– რა?***

– ისეთნაირი შეფუთვა გაკეთდა ამ ყველაფრის, ამდენი წელი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თითქოს ჩემი ჩვენებით იყო ეს ხალხი დაჭერილი. მსგავსი არაფერი არ მომხდარა!

***– მაშინ რა მოხდა?***

– 2006 წლის 31 აგვისტოს 6 ადამიანი მივიდა კუდში და გააკეთეს განცხადება, რომ იციან დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება.

***– ვინ იყო ეს 6 პირი?***

– ესენი მათი თანამშრომლები იყვნენ თუ მათი აგენტები, ეს მე არ ვიცი. ეს გაირკვა უკვე ამ გამოძიების ფარგლებში. მივიდნენ და განაცხადეს, რომ მზადდებოდა დანაშაული. 6 სექტემბერს ყველანი აგვიყვანეს ერთად, სხვადასხვა ადგილებიდან, მთელი შოუ მოეწყო, ვერტმფრენები დაფრინავდა, რაღაც საოცრება მოეწყო, ჩვენ კი წარმოდგენა არ გვქონდა, რა ხდებოდა. ასეთი ცუდი სიზმარიც არ მინახავს, ის, რაც ჩვენ დაგვაბრალეს. თუმცა ყველაზე უფრო ცუდი და ჩემთვის საშინელი რა იყო, იცით? მე იძულებული გავხდი, აღიარებითი ჩვენება მიმეცა. ანუ ხელი მომეწერა იმაზე, რაც მომიტანეს დაწერილი და მერე ეს გამემეორებინა.

***– რისი თქმა გაიძულეს?***

– რომ მე, მაია ნიკოლეიშვილმა, განვიზრახე სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული ამბოხის გზით, 300 ადამიანი უნდა გამეფრთხილებინა, თითოსთვის გადამეხადა 5 ათასი დოლარის ოდენობის თანხა და 300 შეიარაღებული კაცით, ასევე სხვებსაც იგივე უნდა გაეკეთებინათ, ჩვენ უნდა აგვეღო პარლამენტის შენობა და მთავრობის კანცელარია.

***– ეს გათქმევინეს მუქარით და იძულების წესით?***

– დიახ, აბა მე ამას ჭკუათმყოფელი ან როგორ გავიფიქრებდი, ან თავში აზრად როგორ მომივიდოდა ასეთი რაღაცა და მერე ამის თქმა, რომ დიახ, ამას ვგეგმავდი. ალბათ სულელი უნდა იყო, რომ ეს აღიარო, მაგრამ, სამწუხაროდ, მე იძულებული ვიყავი, ეს მეღიარებინა.

***– შემდეგ სულ გვესმოდა, რომ ნიკოლეიშვილმა აღიარა, ის გამოუშვეს, სხვები დააკავეს...***

– აქაც არ მიდიოდა სწორი განმარტება. მე ჩვეულებრივად, როგორც სხვები, გამასამართლეს, ჩვეულებრივად ბრალდებული ვიყავი. ვინაიდან მე ვაღიარე, მომისაჯეს ორი წელი, რომელიც შემდეგ შემიცვალეს პირობითით. კი, ციხესთან შედარებით ეს დიდი შეღავათია, მაგრამ იქ ეწერა, ვინაიდან აღიარა, ეს აღიარება კი იძულებით მოხდა, ამის გამო მომესაჯა 2 წელი პირობითი. 2 წელი ვიყავი პრობაციონერი, როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, კვირაში ერთხელ პრობაციაში დავდიოდი და ხელს ვაწერდი. მაშინ როცა შავი სამყაროს წარმომადგენლები თვეში ერთხელ მიდიოდნენ ხელის მოსაწერად.

***– თუმცა მაინც გარეთ იყავით?***

– მე ამას არ შევადარებ ციხეს, მაგრამ ეს იყო საშინელება. ადამიანს მოექცე ასე, რომელსაც მსგავსი რამ არც კი გაუფიქრებია. ჩვეულებრივი ბრალდებული ვიყავი, დღესაც, სანამ სასამართლო განაჩენი არ დადგება, მე მაქვს ეს საშინელი ლაქა, რომ მე სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი ვიყავი. კი, ვინც ციხეში იყვნენ, ისინი გაცილებით მძიმე დღეში იყვნენ, მაგრამ მეც ბრალდებული ვიყავი.

***– დაიწყო საქმის გადასინჯვა, ეს რა მოცემულობას შექმნის, თქვენ რისი იმედი გაქვთ?***

– საშინელებაა იმ შავი ლაქით ცხოვრება, რომ შენ ხარ სახელმწიფო გადამტრიალებელი. ჩემი ცხოვრება 6 წლით შეჩერდა. მაშინ მე არც მუშაობის უფლება მქონდა, ვიყავი პრობაციონერი და რისთვის? არაფრისთვის! იმ პერიოდში თეთრი ყვავივით ვიყავი, ადამიანები გერიდებიან, შენთან დარეკვის ეშინიათ. მე ეს კარგად მესმოდა და არც მე არავის ვურეკავდი, რადგან მოსმენაზე ვიყავი. კონტაქტი მქონდა გაწყვეტილი, ურთიერთობას ყველასთან ვერიდებოდი.

***– გაქვთ იმის მოლოდინი, რომ მოიხსნით ამ შავ ლაქა და დამნაშავეები დაისჯებიან?***

– დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ! 2012 წელს მომეცა პირველად შრომის უფლება. მჯეროდა, რომ გამოძიება ოდესმე ბოლომდე მიიყვანდა ამ საქმეს. იმას აღარ ვფიქრობ, რა გავიარე, რა მიხარია, იცით, რომ ჩემს შვილს აღარავინ ეტყვის, დედაშენი სახელმწიფო გადამტრიალებელი დამნაშავე ყოფილა. თან პოლიტიკურია ეს მუხლი. დახვრეტის მუხლი რომ ყოფილიყო, სააკაშვილი ამას გააკეთებდა. ეს რეაბილიტაცია ჩემთვის ძალიან დიდ რამეს ნიშნავს. დანაშაული მთავრდება მაშინ, როცა სამართლიანობაა აღდგენილი. როდესაც სახელმწიფო იტყვის, რომ ეს არ მომხდარა და ზღაპრის გულისთვის ეს ადამიანი გაამწარეს, ცხოვრება აუწეწეს, ეს ჩემთვის იცით რამხელა რაღაცაა? როდესაც იცი, რომ მართალი ხარ და ამას სხვაც გაიგებს!

***– გჯერათ, რომ დაისჯებიან დამნაშავეები?***

– ის ადამიანები, ვინც კუდში მივიდა და განცხადებები დაწერა, დანაშაული მზადდებაო, ყველაზე ნაკლებად მიმაჩნია დამნაშავეებად. აი, ვინც ისინი აიძულა, რომ ეს ეთქვათ, დამნაშავეები ისინი არიან. დამნაშავეები არიან მერაბიშვილი, ადეიშვილი, სააკაშვილი. მე მაინტერესებს დამკვეთი სააკაშვილის დასჯა. რატომ შეუკვეთა, რატომ დაიდგა ეს სცენარი და რისთვის?! სწორედ იმის დასჯაა მთავარი!

ძალიან ბედნიერი ვარ და ბოლომდე არც მჯერა, რომ ეს ხდება. სუფთა 37 წელი გამოვიარე! დამნაშავე რომ დაისჯება, მე მაგაში დარწმუნებული ვარ. უბრალოდ, ეს მე-11 წელს მოხდა. ზუსტად 11 წელი გავიდა 2006 წლის 6 სექტემბრიდან. ნელა, მაგრამ სამართალი მაინც მოდის. დარწმუნებული ვარ, რომ ამდენი დრო აღარ დასჭირდება დამნაშავის დასჯას. როდესაც ისინი დაისჯებიან, სწორედ მაშინ დასრულდება სისტემური დანაშაული, რომელსაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის მეფობის დროს.

# მამუკა ტუსკაძე: „კონსტიტუცია დღევანდელმა ხელისუფლებამ ჯიბეში ჩაიდო“

გულიკო ბალაძე

**საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წამოწყებულ შიმშილობის აქციას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე შეუერთდა.**

– სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის, მეანაბრეთა თანხების დროული და სამართლიანი განაწილების მიზნით, საქართველოს პარლამენტის წინ ვიწყებ შიმშილობას, – განაცხადა მამუკა ტუსკაძემ, რომელიც უკვე შეუერთდა მოშიმშილეებს.

მამუკა ტუსკაძემ „ახალ თაობასთან“ განაცხადა, რომ შიმშილობის აქციას არჩევნების შემდეგაც გააგრძელებენ, რათა მათი მოთხოვნები შესრულდეს.

***– კონკრეტულად, თქვენ რატომ დაიწყეთ შიმშილობა?***

– „პატრიოტთა ალიანსი“ იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას სოციალური სამართლიანობის აღდგენისთვის, კონსტიტუციაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის. კონსტიტუცია დღევანდელმა ხელისუფლებამ ჯიბეში ჩაიდო.

***– როგორ?***

– კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქვეყნის უპირველესი მოვალეობაა, მიწა არ გაიყიდოს უცხოელებზე, გაუქმდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, განათლების სისტემაში ეროვნული ცნობიერება შევიდეს. დაიწყოს პირდაპირი კონტაქტი მოსკოვთან, ცხინვალთან, სოხუმთან; ასევე სოციალური საკითხების მოგვარება.

– ახლა, როგორც საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი პატრიოტთა ალიანსიდან, ვუერთდები შიმშილობის აქციას და ვიწყებ უვადო შიმშილობას და გავაგრძელებ იქამდე, სანამ რაღაც ნაბიჯს არ გადადგამს ხელისუფლება იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც ჩამოვთვალე.

***– თქვენ რთულად მოსაგვარებელი მოთხოვნები ჩამოთვალეთ. პირველ რიგში, გკითხავთ, რას ნიშნავს სოციალური სამართლიანობის აღდგენა?***

– სოციალურ სამართლიანობაში ვგულისხმობ წინა რეჟიმის დროს ხალხისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. მოვითხოვ, გათავისუფლდნენ უკანონო პატიმრები ციხიდან, ყველა მოქალაქეს ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, ყველა მოქალაქეს ჰქონდეს ღირსეული სოციალური შემწეობა. სოციალური დახმარება უნდა იყოს საარსებო მინიმუმის ტოლი. მოქალაქეთა პენსია საარსებო მინიმუმს უნდა უტოლდებოდეს, ბანკები არ უნდა მართავდნენ და ახრჩობდნენ ქვეყანასა და ხალხს. როგორც ცნობილია, მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ვალი აქვს. ყველა ეს საკითხი უნდა მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოში და დარეგულირდეს.

***– ნაცების მიერ ჩამორთმეული ქონება არ უბრუნდებათ? დღესაც მოვისმინე, რომ ამაზე პროკურატურის სპეციალური დეპარტამენტი მუშაობს.***

– არა, არ უბრუნდებათ. ყველაფერი ბლეფია, წინასაარჩევნო პიარია და მეტი არაფერი. თითქოსდა ქონება უბრუნდებათ. „ოცნება“ 5 წელია ხელისუფლებაშია და სულ ქონების დაბრუნების ხუთი შემთხვევა იყო. დაუბრუნეს ავტომანქანები, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სხვაზე გადაფორმებული და ჰაერში იყო ჩამოკიდებული. ის ქონება, რომელიც სახელმწიფოს გადაფორმებული აქვს თავის თავზე, უკან არც ერთი არ დაბრუნებულა.

***– რაიმე მონაცემები ხომ არ გაქვთ, ქონების დაბრუნების რამდენი შემთხვევა იყო.***

– 22 ათასი განცხადება იყო შესული და მხოლოდ 5 პირს დაუბრუნეს ქონება. პროკურატურის ის დეპარტამენტი, რომელიც ქონების დაბრუნებაზე უნდა მუშაობდეს, მხოლოდ 5 პირს დაუბრუნეს ქონება. მოძრავი ქონებიდან 2 არის დაბრუნებული.

***– ნაცების დროინდელი პოლიტპატიმრები კიდევ არიან?***

– რა თქმა უნდა, კიდევ არიან, მხოლოდ ორ საქმეზე შედგა სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. 100-ზე მეტი ადამიანი ელოდება სამართლიანი სასამართლოს გადაწყვეტილებას. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამ საქმეს სწრაფად მოაგვარებს.

ამ შემთხვევაში ყველა მოქალაქე თანასწორი არ არის. სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას ვითხოვთ. სასამართლოზე ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს.

***– თქვენი აზრით, დღევანდელ პირობებში სასამართლოს ხელმისაწვდომობას რა განაპირობებს?***

– კანონმდებლობა და პოლიტიკური ნება ხელისუფლებისაგან, რომ სასამართლო პოლიტიკური წნეხისაგან გაათავისუფლოს. ჯერჯერობით, სასამართლო ხელისუფლების ხელში პოლიტიკური ინსტრუმენტია, რაც არა მხოლოდ კანონის დარღვევაა, არამედ ქვეყანას არასწორად ავითარებს.

***– ოცნების ხელისუფლების პერიოდშიც კი იმაზე საუბრობდნენ, რომ ნაცმოძრაობა ჯერ კიდევ ახდენდა სასამართლოზე გავლენას. თქვენ ფიქრობთ, რომ ის გავლენები ახლა ახალ ხელისუფლებაზე გადავიდა?***



– რა თქმა უნდა, კარგად მოირგეს ნაცმოძრაობის შექმნილი უგვანო კანონმდებლობა და ბედნიერად მართავენ ამ ქვეყანას.

***– რაიმე მაგალითის მოყვანა ხომ არ შეგიძლიათ სასამართლოზე ზეგავლენასთან დაკავშირებით?***

– მაგალითად, მე რომ დამიჭირეს, ბეჟან გუნავა რომ დაიჭირეს, პოლიტიკური იყო. აქტივისტებს აკავებენ და 4 ლარით აჯარიმებენ. ამას წინათ კაცმა თავი მოიკლა, პოლიციელმა ჩვენება დამაწერინაო.

ჩვენ მოვითხოვთ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური და საგარეო მიმართულებით სამართლიანობის დამკვიდრებას.

# მამუკა კაციტაძე: „ეკა ბესელიას უკადრებლად ეშლება ყოფილი კოლეგების წინაშე“

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში არასაპარლამენტო ოპოზიციის პოლიტიკურ გეგმებზე საუბრობს.**



## „საკონსტიტუციო ცვლილებებს ოპოზიცია პოლიტიკურად არალეგიტიმურად გამოაცხადებს“

***— ბატონო მამუკა, არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვედრა ჰქონდა, რა საკითხზე იყო შეხვედრა?***

— ინტერპარტიული ჯგუფის შეხვედრა იყო, რომელიც საარჩევნო საკითხებზე მუშაობს. ერთპარტიული კონსტიტუციის წინააღმდეგ პოლიტიკური პროცესი გრძელდება. მართალია სამართლებრივი პროცესი მეორე მოსმენაზე დასრულდა, მაგრამ ეს შეხვედრაც პოლიტიკური პროცესის ერთგვარი გაგრძელება იყო. თუ აქამდე ინტერპარტიული ჯგუფი არსებობდა, გაჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო პოლიტიკური პარტიების „ლიდერთა საბჭო“, რათა ლიდერების დონეზე მომხდეს ყველა პრობლემური საკითხის განხილვა. ცხადია, უმთავრესი არის საკონსტიტუციო ცვლილებები.

***— სამოქმედო გეგმაზე თუ იყო საუბარი?***

— დიახ, იყო საუბარი.

***— რამდენად იქნება რადიკალური, ქუჩის აქციებიც შედის?***

— დიახ, პოლიტიკური ბრძოლის არსენალში ქუჩის აქციებიც შედის. როდესაც ბრძოლის გაგრძელებაზეა საუბარი, აქ იგულისხმება ყველაფერი. პირველ რიგში გაკეთდება საერთო განცხადება. შემდეგ, პრეზიდენტის ვეტოს შემთხვევაში, დაიგეგმება გარკვეული მოქმედება. ასევე, მსჯელობა იყო, თუ როგორი მოქმედება გვექნება ადგილობრივი არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ამ შეხვედრაზე ოპოზიციურმა ძალებმა მივიღეთ პირველი გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, ჩვენი მხრიდან პოლიტიკურად არალეგიტიმურად გამოცხადდეს.

***— ეს, როგორ?***

— ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი პოლიტიკურ ლეგიტიმაციას არ მისცემს კონსტიტუციას. ნებისმიერ კანონს, მით უფრო კონსტიტუციას, ორი მხარე აქვს: სამართლებრივი და პოლიტიკური. ვენეციის კომისია თავის ყველა რეკომენდაციას ერთი მარტივი ფრაზით იწყებს: „ფართო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგი“, ეს კი ნიშნავს, რომ კონსტიტუცია უნდა იყოს თანხმობის დოკუმენტი. არათუ ფართო, ელემენტარული კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ რადგან ხელთ აქვს 115 პულტი, მიიღებს ამ კონსტიტუციას, ნულოვანი თანხმობის გარეშე, სწორედ ამის დეკლარირებას ახდენს „ლიდერთა საბჭო“.

***— ირაკლი კობახიძის ინიციატივაზე რას იტყვით, რომლითაც ერთჯერადად მოხდა საარჩევნო ბლოკების დაშვება და 2024 წელს ამოქმედდება პროპორციული სისტემა?***

— ხელისუფლებისგან მივიღეთ ფაქტიურად ყველა თემაზე უარი, რაც ჩვენ შევთავაზეთ. კობახიძის ინიციატივა კი ეხება რაღაც ახალ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც საგაზაფხულო სესიაზე იქნება განხილული პარლამენტის მიერ. ამ შემოთავაზებით ხელისუფლებას სურს, რაღაცნაირად უპასუხოს ოპოზიციის წინადადებათა პაკეტს. კობახიძემ გვითხრა — „მერე გავაკეთებთ რაღაცას,“ „მერეზე“, მერე ვილაპარაკოთ! ეს ეხება ბონუსს, ბარიერს, ბლოკს, საარჩევნო სისტემას და ა.შ. თანაც სრული ლეგიტიმური უფლება მაქვს, რომ „ქართული ოცნების“ ამ ინიციატივის არ დავიჯერო. თვეების განმავლობაში ხელისუფლება გვეუბნებოდა, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2020 წელს გადავდიოდით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შიდა არეულობისა თუ შიდა დაპირისპირების მომიზეზებით, მათ გვითხრეს, რომ 2024 წლისთვის გადავდეთო.

***— ამის მიზეზად პარლამენტის თავმჯდომარემ ოპოზიციის არასათანადო მზადყოფნა დაასახელა. რას უპასუხებთ?***

— ვერ გავიგე, რას ამბობს კობახიძე. რას ნიშნავს არასათანადო მზადყოფნა?! მთელი ოპოზიცია ხელისუფლებას მიმართავს, რომ ყველას ერთად გვინდა ის, რაც უნდა გაკეთდეს 2024 წელს, გაკეთდეს 2020 წელს. მითხრას კობახიძემ, რა მზადყოფნაზეა საუბარი და იმ მზადყოფნას დავაფიქსირებთ. სავარაუდოდ ვხვდები, თუ რას გულისხმობდა კობახიძე: წინა პარლამენტში კანონპროექტი იყო შესული, მაგრამ მაშინდელმა უმრავლესობამ თქვა, 2016 წელს არ გავაკეთებ, მაგრამ 2020 წელს გავაკეთებო, რასაც მოჰყვა ნაციონალური მოძრაობის ბოიკოტი. თუ ამას გულისხმობს კობახიძე, ნაციონალური მოძრაობის არათანმიმდევრულობას თუ მოუმზადებლობას, რატომ უნდა გადააყოლოს მთელი პოლიტიკური სპექტრის სურვილი?! ასეც რომ იყოს, წინა პარლამენტში არ ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა და ჩააგდო, მაგრამ დღეს ხომ ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა? რატომ არ იღებს? გამოასწოროს ნაციონალური მოძრაობის არათანმიმდევრულობა თუ არასწორი საქციელი. ამიტომ ეს არგუმენტი არის სკოლის ბავშვის დონეზე მოფიქრებული არგუმენტი. „ქართული ოცნება“ ედრება ნაციონალურ მოძრაობას და ანგარიშს უსწორებს.

***— თუმცა, „ქართული ოცნება“ ხშირად მიმართავდა საპარლამენტო ოპოზიციას თუ რა შემთხვევაში დაუჭერდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს.***

— რაც შეეხება ამ კითხვას, მოგეხსენებათ, რომ კონსტიტუციური ცვლილებები ბევრ თემას შეეხო, მხოლოდ საარჩევნო თემატიკით არ შემოფარგლულა. ჩვენ, ოპოზიციამ, სრულად ვიპოვეთ საერთო ენა საარჩევნო საკითხზე. კონსტიტუციის ერთსულოვანი მხარდაჭერა ვერანაირად ვერ მოხდებოდა, რადგან დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციების მქონე პარტიები კონსენსუსს ვერ მიაღწევდნენ მიწის საკითხზე, ქორწინების საკითხზე; მაგალითად, ნატოსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით მუხლი ჩაიდო გარდამავალ დებულებაში. გეკითხებით, ამ მუხლს მხარი როგორ უნდა დაუჭიროს ნინო ბურჯანაძის პარტიამ?! ამიტომ, იმ წუთში იტყვის „ქართული ოცნება“, რომ ერთსულოვანი არ არის ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებში.

ჩვენ არ ვსაუბრობთ იმ მუხლებზე, სადაც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, მაგრამ საარჩევნო თემატიკაზე სრულად იქნა შეთანხმება მიღწეული და ის 4 პუნქტში ჩამოვაყალიბეთ პრეზიდენტთან ერთად.

***— თუმცა, ეკა ბესელიამ გიპასუხათ, რომ ორი დღის შემუშავებული დოკუმენტი ვერ იქნება ვერანაირად რვათვიანი მუშაობისა და განხილვის ალტერნატივა.***

— ქალბატონ ეკას მწარედ ეშლება. მე ვიტყოდი, უკადრებლად ეშლება ყოფილი კოლეგების წინაშე. ოპოზიციამ ეს წინადადებები კომისიას წარუდგინა ჯერ კიდევ საერთო-სახალხო განხილვამდე. იგივე ოპოზიცია, წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ქალბატონი ეკა ოპოზიციას წარმოადგენდა, ამ წინადადებების მოთხოვნით შიმშილობდა 16 დღის განმავლობაში.

# ფინელი ანალიტიკოსები რუსეთს სრულ იზოლაციას უწინასწარმეტყველებენ

მარიამ მჭედლიშვილი

**ბელორუსში დასრულებულმა რუსეთის მასშტაბურმა სამხედრო წვრთნებმა „დასავლეთი 2017" დიდი ყურადღება მიიპყრო. კომენტატორების ნაწილი აღიარებს, რომ ამ ხმაურიანი სწავლებების უკან რუსეთის დიდი პრობლემები იმალება.**



## ამერიკელი ექსპერტები: „რუსეთის პოლიტიკა გრძელვადიან გეგმებზე გათვლილი არ არის“

ფინელი ანალიტიკოსების აზრით, ამ სწავლებებით რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს რუსეთის ძლევამოსილების დემონსტრირებას, თუმცა, მისი სამხედრო ძალები უკრაინასა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტებმა გამოფიტა.

როგორც ცნობილია, რუსეთს ვაშინგტონმა გაუღრმავა ეკონომიკური სანქციები. ადრინდელი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ გააგრძელა ევროკავშირმა.

ფინელი ექსპერტები რუსეთის მძიმე მდგომარეობას მხოლოდ მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს არ უკავშირებენ.

ისინი აცხადებენ, რომ მაშინ, როცა პუტინი პრეზიდენტად პირველად აირჩიეს, მისგან ელოდნენ სტაბილურობას, რუსეთის მოქალაქეების კეთილდღეობას და რუსეთის გავლენის ზრდას მსოფლიო არენაზე.

იმ დროს ენერგორესურსების ექსპორტმა ნავთობის სიძვირის პირობებში რუსეთი ეკონომიკური უფსკრულიდან ამოიყვანა. ამასთან, პუტინმა მოახერხა ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირება, მისი ჩინოსნები კი სარგებელს ნახულობდნენ ყველა საფეხურზე. ქვეყანაში განმტკიცდა კორუფცია.

დღეს პუტინს ყველაზე მეტად კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით წარმართული ფერადი რევოლუციისა ეშინია.

ჯერჯერობით რუსეთის პრეზიდენტი ასე თუ ისე უმკლავდება საშინაო პრობლემებს, მაგრამ საერთაშორისო არენაზე ცუდად აქვს საქმე. გაჭიანურებული ომი უკრაინაში რუსეთს ძვირად უჯდება როგორც ფინანსურად, ისე ადამიანთა მსხვერპლის მხრივ. უკრაინასთან მშვიდობის გარეშე რუსეთი ვერ იქნება მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

რუსეთს შეიძლება სერიოზული დარტყმა მიაყენოს სასტიკმა ომმა სირიაში, სადაც ის ბაშარ ასადის ტირანულ რეჟიმს იცავს.

რუსეთის მოლოდინი ვერ გამართლდა აშშ-შიც. დონალდ ტრამპსა და მის საარჩევნო შტაბს ჰქონდა კავშირი რუსეთთან. ტრამპმა ამის შედეგად გაიმარჯვა, მაგრამ რუსეთისთვის ეს წარმატებულად ვერ ჩაითვლება. ჯერ ერთი, ტრამპი ძალიან სუსტია, მეორეც, ამ საქმეს აშშ-ის სპეციალური პროკურორი იძიებს.

ტრამპის მმართველობამ შესაძლოა აშშ დაასუსტოს, რაც უნდა რუსეთს, მაგრამ ტრამპს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება და ამით რუსეთი ბევრს ვერაფერს მოიგებს.

რუსეთს ომებისა და სანქციების გარდა, ასუსტებს კორუფცია და მოშლილი ინფრასტრუქტურა.

რუსეთს ჩიხიდან მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა გამოიყვანს. საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში მარტშია დაგეგმილი. თუ არაფერი შეიცვალა, რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთი სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცევა.

ბევრი საუბარია იმაზე, რომ რუსეთი ახორციელებს ჰიბრიდულ ომს, განსაკუთრებით აქტიურად თავის მეზობელ სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში.

უსაფრთხოების საკითხებში ამერიკელი ექსპერტი როჯერ მაკდერმოტი ამ მხრივ რუსეთის შესაძლებლობების შეფასებას გადაჭარბებულად მიიჩნევს.

2013 წელს რუსეთის გენშტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა განაცხადა, რომ რუსეთმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ამერიკის საპასუხო ქმედებებს. კერძოდ, იმას, რომ აშშ სამხედრო აქციებს აერთიანებს საინფორმაციო კამპანიებთან, დიპლომატიასთან და ეკონომიკურ სანქციებთან.

როჯერ მაკდერმოტი აღნიშნავს, რომ ხმები გერასიმოვის დოქტრინის არსებობის შესახებ მითია. რუსეთს არ გააჩნია გამანადგურებელი ჰიბრიდული ომის დოქტრინა. რუსეთი არც ისეთი გავლენიანი და გაწაფულია, როგორადაც მას ხატავენ. რუსეთს აქვს აგრესიული პოლიტიკა, რომელიც გრძელვადიან გეგმაზე გათვლილი არ არის, რუსეთის პროპაგანდისტები კი არც ისეთი ქმედითები არიან.

მისი თქმით, საქმის გამოძიებამ რუსეთის ჩარევის თაობაზე ამერიკის არჩევნებში მტკიცედ დაამკვიდრა ამერიკელების ცნობიერებაში ტერმინები, მაგალითად, „პროპაგანდა“, რაც ომის ასოციაციას იწვევს.

მაკდერმოტის თქმით, რუსეთი ისეთივე დაბნეული, სასტიკი, აგრესიული, კორუმპირებული დარჩება ამ საქმის გამოძიების შემდეგ, როგორც მანამდე იყო. განცხადებები იმაზე, რომ რუსეთს სერიოზული დოქტრინები და გრძელვადიანი გეგმები აქვს, სიმართლეს არ შეესაბამება.

2017, 23 - 24 სექტემბერი, №226

# რა ღირს სახლის მშენებლობა თბილისსა და მის შემოგარენში?



მშენებლობის დაწყებას ძალიან ბევრი სირთულე და უამრავი ნიუანსი ახლავს, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია.

რა ჯდება ჩვენს პირობებში კერძო სახლის მშენებლობა და რა სჯობს – აშენება თუ აშენებულის ყიდვა? – ეს კითხვები ბევრ ადამიანს აწუხებს. კომპანია „ეი ჯი ეს ჯგუფის“ დამფუძნებელი, უძრავი ქონების სფეროს ექსპერტი – შოთა გუჯაბიძე მიიჩნევს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მომხმარებელი კარგად უნდა დაფიქრდეს.

– ადამიანის არჩევანს მისი გემოვნება და ცხოვრების სტილი განსაზღვრავს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი მისი მატერიალური და სოციალური მდგომარეობაა. ერთი შეხედვით, კერძო სახლის აშენება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, თუმცა საკითხი ასე დგას: ქალაქის ცენტრში, პრესტიჟულ უბნებში კერძო სახლისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები ძალიან ძვირი ღირს. ვაკეში, მაგალითად, თითქმის არ არის დარჩენილი კერძო სახლისთვის შესაფერისი ადგილები. რაც შეეხება თბილისის შემოგარენს და გარეუბნებს, იქ არის მიწის ნაკვეთები, რომლის შეძენაც იაფად შეიძლება. თუ გამოცდილ კომპანიას დაიქირავებთ, შეძლებთ მისაღებ ფასად ნორმალური სახლი, ან აგარაკი აიშენოთ, – აღნიშნავს შოთა გუჯაბიძე.

ექსპერტის თქმით, პოტენციურმა დამკვეთმა ჯერ მიწის შეძენაზე უნდა იზრუნოს, რომლის ფასი ქალაქის სხვადასხვა უბანში განსხვავებულია.

– თუ გლდანში, ან მუხიანში შეიძენთ მიწის ნაკვეთს, უფრო იაფი დაგიჯდებათ, ვიდრე დიღომში, სადაც 1 კვ. მეტრი მიწის ფასი ზოგჯერ 80-100 დოლარსაც აჭარბებს, ხოლო გლდანის, მუხიანის, ფონიჭალის დასახლებისკენ, ან ჯიქიას ქუჩის ბოლოში 1 კვ.მ. მიწა შეიძლება 40-50 დოლარადაც შეიძინოთ. ასევე გასათვალისწინებელია, რომელ კომპანიას მიანდობს კლიენტი ამ სამუშაოს, თორემ შეიძლება თქვენი სახლი ისეთი ბრიგადის ხელში აღმოჩნდეს, რომელიც უხარისხოდ აშენებს და სამშენებლო მასალის ხარჯზე აკეთებს ეკონომიას. ჩვენთან არის მენაშენეთა ჯგუფები, რომლებიც სიიაფეს სწორედ ხარისხის ხარჯზე აღწევენ. მასალის ეკონომიის გამო კი შენობა შეიძლება დაიბზაროს, ან დანესტიანდეს. ნორმალური, კარგი ხარისხის და მოცულობის სახლი საშუალოდ 40-50 ათასი დოლარის ექვივალენტი მაინც ჯდება ლარში. არის შემთხვევები, როცა 60 კვ.მ-მდე კერძო სახლის მშენებლობა, რომლის პროექტსაც მხოლოდ მერიის ნებართვა სჭირდება, 25-დან 30 ათას დოლარამდე ჯდება, რა თქმა უნდა, გარეუბნებში. აქ შედის მიწის ნაკვეთის ფასი, მშენებლობა, რემონტი და სამშენებლო კომპანიის გასტუმრება. საბოლოოდ, მაინც ყველაფერი მომხმარებლის მსყიდველობით უნარიანობაზეა დამოკიდებული: თუ ოჯახს საშუალება აქვს, უფრო დიდ სახლს აიშენებს, უფრო მაღალი ხარისხის მასალით და დიდი ეზოთი. ხოლო თუ პატარა, 60 კვ. მეტრი სახლის აშენებას გადაწყვეტს, მცირე მიწის ნაკვეთით, მაშინ შეიძლება 25-30 ათასი დოლარის ფარგლებშიც ჩაეტიოს, – აღნიშნავს შოთა გუჯაბიძე.

კომპანიის ხელმძღვანელის შეფასებით, თუ ადამიანი 27-28 ათასი დოლარით შეიძენს 50 კვ.მ. ბინას, მაგალითად, დიდ დიღომში, ოღონდ თეთრი კარკასის მდგომარეობაში, ამავე ფასად მიწასაც იყიდის და 60 კვ.მ. ფართობის სახლს შეიძენს კიდეც და გაარემონტებს. სულ სხვა სიტუაციაა პრესტიჟულ უბნებში, სადაც კორპუსის ბინა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე კერძო სახლის აშენება. გარეუბნებში კი, ფასები ერთმანეთს უტოლდება და ყველაფერი მომხმარებლის სურვილზეა დამოკიდებული.

სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესის“ დირექტორი ვახტანგ ლაღიძე მიიჩნევს, რომ მშენებლობა რეგიონებში უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დედაქალაქში.

– რეგიონებში მასალის ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება, რაც მშენებლობას უფრო აძვირებს. მაგალითად, სვანეთში, ან ყაზბეგში მშენებლობა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დედაქალაქში. ამიტომ, მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ თბილისისგან შორს აგარაკის, ან სახლის აშენება უფრო ძვირი დაუჯდება, თუმცა, სახლის მოცულობასაც გააჩნია. რაც შეეხება კითხვას – კორპუსის ბინა ვიყიდოთ, თუ კერძო სახლი? – ეს გემოვნების საკითხია. მე, მაგალითად, სახლს ვამჯობინებდი, თანაც მირჩევნია ჩემი მეთვალყურეობით ავაშენო, სახლის პროექტი და ყველაფერი ჩემი სურვილის მიხედვით გაკეთდეს. მით უმეტეს, რომ დაკვეთით სახლის აშენება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე უკვე აშენებული სახლის ყიდვა, – აცხადებს ვახტანგ ლაღიძე.

# ირაკლი მექვაბიშვილი აუდიტის სამსახურიდან პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის გამოყოფის მიმართულებით ცვლილებებს არ გეგმავს



გენერალური აუდიტორი ირაკლი მექვაბიშვილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის გამოყოფის მიმართულებით ცვლილებებს არ გეგმავს.

მექვაბიშვილი მიიჩნევს, რომ კლასიკურ მოდელში ეს ფუნქცია არ უნდა იყოს აუდიტის სამსახურში, მაგრამ ამ ეტაპზე ცვლილებებს არ ფიქრობს.

– კლასიკურ მოდელში ეს ფუნქცია ალბათ არ უნდა იყოს აუდიტის სამსახურში, მაგრამ ამ ეტაპზე არ ვფიქრობ, რომ რაიმე ცვლილებებს ამ მიმართულებით განვახორციელებ, – განაცხადა მექვაბიშვილმა.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მექვაბიშვილის თქმით, ეს არის ბუნებრივი და კარგი პროცესი, თუმცა, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს, არ დაუკონკრეტებია.

– გენერალური აუდიტორს კანონით აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, განახორციელოს ნებისმიერი სტრუქტურული საკადრო ცვლილება, თუ ის ჩათვლის, რომ ასეთი აუცილებლობა არსებობს, – განაცხადა მექვაბიშვილმა.

# სემეკ-მა ოთხ კომპანიას 2017 წლის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები შეუმცირა



სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა 4 თბოელექტროსადგურისთვის 2017 წლის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების შემცირების მთავარ მიზეზად ვალუტის კურსს ასახელებს.

როგორც ირინა მილორავამ განმარტა, დღეს კომისიამ იმსჯელა გარანტირებული სიმძლავრის წყაროების ანუ თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფზე, რომელიც ძალაში იქნება 2017 წლის ბოლომდე.

– როდესაც ჩვენ ამ სადგურებისთვის დავადგინეთ ტარიფები 2016 წლის დეკემბერში, ტარიფში გავითვალისწინეთ კურსი 2.78 ლარის დონეზე, შესაბამისად, ეს კურსი დღესდღეობით არ გაქვს, ამიტომ, ბუნებრივია, უნდა განხორციელებულიყო კორექტირება. კორექტირების მოთხოვნით ჩვენ 4-ვე თბოელექტროსადგურმა მოგვმართა აგვისტოში და დღეს, შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება. სემეკის

გადაწყვეტილებით ოთხივე თბოელექტროსადგურისთვის ტარიფები შემცირებულია – მაქსიმალური შემცირება 4 თეთრია, ხოლო მინიმალური ერთ თეთრამდე. შესაბამისად, ამ შემცირებული ტარიფით თბოელექტროსადგურები ელექტროენერგიას მიაწვდიან ელექტროსისტემას წლის ბოლომდე, – განაცხადა მილორავამ.

კითხვაზე, იმოქმედებს თუ არა დღეს მიღებული გადაწყვეტილება ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე, ირინა მილორავას განცხადებით, ყველა კორექტირება, რასაც სემეკი ახორციელებს, ასევე ყველა ტარიფი, რომელსაც კომისია ადგენს, ბუნებრივია, მოქმედებს სამომხმარებლო ტარიფზე.

– როდის მოხდება კორექტირების ასახვა სამომხმარებლო ტარიფზე, ეს მეთოდოლოგიით ძალიან ცხადადაა განსაზღვრული, შესაბამისად, ჩვენ როდესაც დავადგენთ სამომხმარებლო ტარიფებს, აუცილებლად გავაკეთებთ აქცენტებს, მოქმედებს თუ არა კორექტირებული ნაწილი იმ კონკრეტულ შემთხვევაში სამომხმარებლო ტარიფზე, – განაცხადა ირინა მილორავამ.

მისივე თქმით, გარდა ამისა, სხდომაზე სემეკმა დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება თბოელექტროსადგურებისთვის 2018 წლის ტარიფების დადგენის მიზნით. მილორავას განცხადებით, ამ შემთხვევაში კომისიას აქვს ვადა 2017 წლის დეკემბრამდე და, შესაბამისად, წლის ბოლოს დადგენილი ტარიფები მიიღებენ მონაწილეობას 2018 წლის სამომხმარებლო ტარიფის ფორმირებაში.

# საქართველოს ქალაქებს შორის ყველაზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში ფიქსირდება




მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში საქართველოს ქალაქებს შორის ყველაზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა და გარდაცვალების ფაქტი თბილისში დაფიქსირდა.

საქართველოს მასშტაბით სულ 1.110 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რა დროსაც 100 ადამიანი დაიღუპა, 1.628 კი დაშავდა.

შსს-ს მონაცემებით, ივლის-აგვისტოში თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევის 460 ფაქტი დაფიქსირდა, რა დროსაც გარდაიცვალა 19 ადამიანი, ხოლო 589 ადამიანი დაშავდა.

აჭარის რეგიონში ავტოსაგზაო შემთხვევის 132 ფაქტი მოხდა – გარდაცვლილია 4 ადამიანი, ხოლო დაშავებულია – 202.

სამეგრელოში ავტოსაგზაო შემთხვევის 44 ფაქტი მოხდა, რა დროსაც 6 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 66 დაშავდა.

იმერეთსა და რაჭაში – 112 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, რა დროსაც 13 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 196 დაშავდა.

შიდა ქართლში ამავე პერიოდში 92 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რა დროსაც დაიღუპა 14 ადამიანი, დაშავებულია 160 ადამიანი.

ქვემო ქართლში ავტოსაგზაო შემთხვევის 100 ფაქტი მოხდა – 15 ადამიანი დაიღუპა, 150 კი დაშავდა.

კახეთის რეგიონში 72 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რა დროსაც 13 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 101 დაშავდა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 31 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა – 3 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 39 დაშავდა.

მცხეთა-მთიანეთში 37 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რა დროსაც დაიღუპა 4, ხოლო დაშავდა 60 ადამიანი.

გურიის რეგიონში სულ 30 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, რა დროსაც 9 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 65 დაშავდა.

მონაცემების მიხედვით, ავტოსაგზაო შემთხვევები აგვისტოში უფრო ხშირი იყო, ვიდრე ივლისში. შემთხვევების დროს აგვისტოს თვეში გარდაიცვალა 58 ადამიანი, ხოლო ივლისში 42. რაც შეეხება დაშავებულებს, აგვისტოში დაშავდა 847 ადამიანი, ივლისში კი – 781.

# ზაჰესის ხიდთან მისასვლელი გზა ჩაინგრა



ზაჰესის ხიდთან მისასვლელი გზის მონაკვეთი ჩაინგრა.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ მერიის კეთილმოწყობის სამსახურში განუცხადეს.

მათივე ცნობით, სამუშაო ჯგუფი ადგილზეა გასული და არკვევს თუ რამ გამოიწვია დაზიანება. ადგილზე საპატრულო ეკიპაჟიცაა მობილიზებული.

არსებული ინფორმაციით, გზაზე წყლის მილი დაზიანდა და ერთ მონაკვეთზე გზის ჩანგრევა ამან გამოიწვია.

# მაია ბითაძე: „მდინარე მტკვარს სათანადო ყურადღება დაეთმობა“

– სხვადასხვა გარემოსდაცვითი თანამედროვე სტანდარტის შემოტანის გარდა, მმართველი გუნდი დანაგვიანების საკითხისადმი ძალიან მკაცრი იქნება, – ამის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ მაია ბითაძემ დედაქალაქის ეკოლოგიური პოლიტიკის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ქალაქის დაბინძურე-



ბისადმი კონტროლი გამკაცრდება და სეპარირებისა და გადამუშავების გზით, ნარჩენების აღდგენას ხელი შეეწყობა.

– სათანადო ყურადღება დაეთმობა მდინარე მტკვარს, რომელიც, რა თქმა უნდა, ისეთივე ზრუნვას იმსახურებს, როგორსაც მთელი დედაქალაქი. რეკრეაციული ტერიტორიები ჩვენი ამოცანის მეორე ძირითადი მიმართულებაა. სიმწვანე ქალაქში სუფთა ჰაერის მთავარი საწინდარია. ამიტომ, მაქსიმალურად ვიზრუნებთ იმ კონკრეტული გეგმის შესაბამისად, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, – განაცხადა მაია ბითაძემ.

მისივე თქმით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება რეკრეაციული ტერიტორიების განვითარებას – ძველების აღდგენისა და ახალი რეკრეაციული ტერიტორიების შექმნას დაეთმობა, რომელიც დედაქალაქში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს დასვენების შესაძლებლობას მისცემს.

– ვიზრუნებთ თბილისის გარშემო არსებული ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, რათა არ გავრცელდეს დაავადებები, ასევე, დროულად იქნეს ტყეები და ქარსაფარი ზოლები მოვლილი, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

# კიმი: „შეშლილ ბერიკაც ტრამპს ცეცხლით მოვარჯულებ“

## ვაშინგტონმა ფხენიანს დამატებითი სანქციები დაუწესა



აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციები გაფართოვდა. ამიერიდან აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უფლება ეძლევა, დასაჯოს ის ფირმები, რომლებიც ჩრდილოეთ კორეაში ბიზნესს აწარმოებენ.

— ჩრდილოეთ კორეა აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს. მისი შეჩერება აუცილებელია, — განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ აშშ არასოდეს შეეგუება ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის ფლობას.

— ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს და მის მოკავშირეებს საფრთხეს უქმნის. ეს დაუშვებელია, — ამბობს პენსი.

აშშ-ის უკანასკნელ გადაწყვეტილებას ფხენიანის უმწვავესი რეაქცია მოჰყვა. ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი აცხადებს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩრდილოეთ კორეისთვის ომის გამოცხადება.

— ჩვენ უმკაცრეს კონტრზომებს მივიღებთ, — აცხადებს კიმ ჩენ ინი.

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი არც არაკორექტულ გამოთქმებს ერიდება. მან ტრამპს შეშლილი ბერიკაცი უწოდა.

— ამ შეშლილ ბერიკაცს ცეცხლით მოვარჯულებ, — თქვა კიმ ჩენ ინმა.

# სირია: რუსი და ამერიკელი გენერლები ერთმანეთს შეხვდნენ



სირიაში მდგომარეობა დაიძაბა. ასადის მომხრე შენაერთებმა, რომელთაც ზურგს უმაგრებენ რუსები, ცეცხლი გაუხსნეს ზომიერ სირიელ პარტიზანებს. ამ უკანასკნელთ ზურგს ამერიკული სპეცრაზმი უმაგრებს. პარტიზანებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, რამაც რუსების რისხვა გამოიწვია.

— თუ ჩვენი ჯარისკაცების მიმართულებით თუნდაც ერთ გასროლას მაინც ექნება ადგილი, არაფერს მოვერიდებით და საპასუხო ცეცხლს გავხსნით, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ.

ამრიგად, რუსებსა და ამერიკელებს შორის შეტაკების საშიშროება წარმოიქმნა. ტრამპისა და პუტინის ინიციატივით, ამერიკელი და რუსი გენერლები ერთმანეთს შეხვდნენ. ისინი ცდილობენ მივიდნენ შეთანხმებამდე, რათა შეტაკებები თავიდან აიცილონ.

# სურს თუ არა კატალონიას დამოუკიდებლობა?




კატალონიის ხელისუფლება 1 ოქტომბერს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს. ოფიციალური მადრიდი ამას უაღრესად აგრესიულად შეხვდა. დაპატიმრებულია კატალონიის მთავრობის რამდენიმე ჩინოვნიკი. პასუხად ბარსელონას მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. მოსახლეობასა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება.

რეფერენდუმში კატალონიის 5,5 მილიონიანი მოსახლეობიდან მონაწილეობის მიღებას მხოლოდ 2 მილიონი აპირებს. აქედან დამოუკიდებლობას მხარს 41% უჭერს, 49% წინააღმდეგია.

# „დასავლეთი-2017“ დასრულდა — დაიღუპა 4 რუსი ჯარისკაცი და 1 დივიზიის მეთაური



დასრულდა რუსეთ-ბელორუსის ერთობლივი სამხედრო სწავლება „დასავლეთი-2017“.

ტელეკომპანია ნტვ-ს ცნობით, სწავლებისას დაიღუპა 4 რუსი ჯარისკაცი და 1 დივიზიის მეთაური. მიზეზი უბედური შემთხვევაა.

ექსპერტ იგორ სიტიაგინის აზრით, „დასავლეთი-2017“ აშკარად აგრესიულ ხასიათს ატარებდა. მან წარმოაჩინა ის მიმართულებები, რომლებითაც მოხდება უახლოეს პერიოდში რუსული არმიის განვითარება.

— იდეოლოგიურად ესაა აშკარად აგრესიული, ანტიდასავლური მიმართულებები, — ამბობს ექსპერტი.

სიტიაგინი ხაზს უსვამს იმ ნაკლოვანებებს, რაც სწავლებისას გამომზეურდა. რუსეთის არმია ტექნოლოგიურად დასავლეთისას კვლავაც ჩამორჩება, თუმცა არმიის გადაიარაღებაზე კოლოსალური თანხებია დახარჯული. სახეზეა ორგანიზაციული სახის პრობლემებიც. რუსები აქცენტს კვლავ მსხვილი სამხედრო შენაერთების შექმნაზე აკეთებენ. ამან კი არ გაამართლა.

— ზოგიერთი დივიზია ბოლომდე არ არის დაკომპლექტებული, — აცხადებს სიტიაგინი.

„დასავლეთი-2017“-ის შედეგებით რუსეთის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი ვლადიმერ პუტინიც უკმაყოფილოა. თავის ტელეინტერვიუში მან განაცხადა, რომ სამხედრო სექტორში სახელმწიფო შეკვეთების მხოლოდ 38% შესრულდა, რასაც სათანადო რეაგირება მოჰყვება.

— ამის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაიზრდება, — განაცხადა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ტრამპი: „ჩვენ უკრაინას დავეხმარებით“

## პოროშენკო ტრამპს შეხვდა



უკრაინისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელოდა. მას წინ უძღოდა აშშ-ის სენატის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომლითაც უკრაინას თავდაცვის ასამაღლებლად 500 მილიონი დოლარი გამოუყვეს. კანონში ჩადებულია მუხლი, რომლის ძალითაც აშშ-მ უკრაინას ლეტალური იარაღი უნდა მიაწოდოს.

პოროშენკო-ტრამპის შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა. მოლაპარაკებები დონბასში გაეროს საერთაშორისო ძალების ჩაყენების, აგრეთვე უკრაინა-აშშ-ის თანამშრომლობის გაღრმავების გარშემო წარიმართა. პოროშენკომ თავის ამერიკელ კოლეგას განუცხადა, რომ დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენებას მიესალმება.

— ეს ომის შეჩერების ერთადერთი საშუალებაა, — თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გაეროს ცისფერჩაფხუტიანებს შორის არ შეიძლება იყვნენ რუსები. მეორეც, სამშვიდობოები უნდა ჩადგნენ როგორც რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე, ასევე იმ ტერიტორიაზეც, რომელიც დროებით სეპარატისტების კონტროლქვეშაა.

ტრამპი ამას მთლიანად დაეთანხმა.

პრეზიდენტებმა უკრაინა-აშშ-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებიც განიხილეს. ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ დაეხმარება უკრაინას როგორც სამხედრო აღმშენებლობაში, აგრეთვე უშიშროების სექტორის რეფორმირებაში.

— უკრაინამ უკვე შექმნა ძლიერი არმია და ქმედითუნარიანი უშიშროება. აუცილებელია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. ჩვენ მზად ვართ, ამაში დაგეხმაროთ, — თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ურთიერთგაგება დაფიქსირდა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებშიც. ტრამპმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ომის პირობებშიც კი უკრაინამ ეკონომიკური პრობლემები წარმატებით დაძლია.

— აშშ უკრაინასთან დაახლოებას მიესალმება, — განაცხადა ტრამპმა.

რუსეთში ტრამპ-პოროშენკოს შეხვედრას ღვარძლიანი კომენტარები მოჰყვა. ექსპერტმა როსტისლავ იშჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინა-აშშ-ის დაახლოება უკრაინისათვის საბედისწეროდ დასრულდება. იშჩენკო ამტკიცებს, რომ ამერიკელები უკრაინაში ბირთვული ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანასააშენებენ, მთელს დნეპრსა და შავ ზღვას მოწამლავენ.

— ამერიკაში კარგა ხანია ნაციონალისტური უკრაინა ყელში ძვალივით ეჩხირებათ. ჰოდა, უკრაინელთა გენოციდის მთელი პროგრამა შეიმუშავეს. ეს ამერიკის აგენტის, პოროშენკოს ხელით კეთდება, — ასკვნის პოლიტოლოგი.

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ თავის ტელე-ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთს გამოეპარა მომენტი, როცა უკრაინა არმიასა და უშიშროებას ქმნიდა, მოსახლეობას კი ნაციონალიზმის შხამით წამლავდა. შედეგი კატასტროფულია — რუსეთის მეზობლად მტრული სახელმწიფო წარმოიქმნა.

— ახლა ერთადერთი გამოსავალიღა რჩება: უკრაინელების ამოწყვეტა! — აცხადებს კრემლის სტაჟიანი ტაკიმასხარა.

უკრაინა-აშშ-ის დაახლოება კი გრძელდება.

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## მსოფლიოს უმდიდრესი ქალი გარდაიცვალა

95 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქალი და ფრანგული კოსმეტიკური კომპანია ლორეალის მემკვიდრე ლილიან ბეტანკური. ამ ინფორმაციას მის ქალიშვილ ფრანსუაზა ბეტანკურ-მეიერზე დაყრდნობით ერთ-ერთი ფრანგული სააგენტო ავრცელებს.

მისი თქმით, ლილიან ბეტანკური საკუთარ სახლში გასულ ღამეს გარდაიცვალა.

– დედაჩემი მშვიდად წავიდა ამ ქვეყნიდან, – აღნიშნა ფრანსუაზამ.

მან ასევე დაამატა, რომ დედამისი 21 ოქტომბერს 95 წლის უნდა გამხდარიყო.



აღსანიშნავია, რომ ივნისში ჟურნალმა Challenges-მა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სია გამოაქვეყნა, რომელშიც ლილიან ბეტანკურმა 35,8 მილიარდი ევროს ქონებით მეორე ადგილი დაიკავა.

## მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქალი 67 წლის ამერიკელი გახდა

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქალი 67 წლის ალისა უოლტონი გახდა, რომელიც სემ უოლტონის მემკვიდრეა, რომელმაც მაღაზიათა ქსელი Walmart-ი შექმნა.

ფორბსის მონაცემებით, მისი ქონება 33,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ის მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში მე-17 ადგილზე იმყოფება.

უოლტონი ჭალმარტ-ის დამფუძნებლის ერთადერთი ქალიშვილია. თავისი ძმებისგან განსხვავებით, რომლებიც კომპანიაში მუშაობენ, ალისა ხელოვნების სფეროში დაპროექტებითაა დაკავებული.



მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მიშელ ობამამ სილამაზის სალონი გახსნა



აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი მიშელ ობამა ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგტონში სილამაზის სალონის გახსნას დაესწრო. ამ ინფორმაციას ვაშინგტონ პოსტი ავრცელებს. მიშელი ადგილზე იმ სტილისტებისა და ვიზაჟისტების გუნდის ერთ-ერთი თანამშრომლის მხარდასაჭერად მივიდა, რომლებიც თეთრ სახლში მასთან მუშაობდნენ, და რომელმაც საკუთარი სილამაზის სალონი გახსნა. ახალი დაწესებულების მეპატრონეა იენე დემტიუ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მიშელ ობამას პირადი სტილისტის ჯონი რაიტის თანაშემწე იყო. ის პასუხს აგებდა პირველი ლედის თმების შეღებვაზე, ასევე მუშაობდა პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ქალიშვილებთან საშასა და მალისთან. აღსანიშნავია, რომ თავად ჯონ რაიტი ბარაკ ობამას საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ლოს-ანჯელესში გადავიდა.

## კელვინ კლაინს პლაგიატში დასდეს ბრალი



ცნობილი ბრენდი კელვინ კლაინი დაადანაშაულეს იმაში, რომ მისმა კრეატიულმა დირექტორმა რაფ სიმონსმა იმ ლაბადა-წამოსასხამის ასლი გადაიღო, რომელიც ამერიკელმა მოდელიერმა ბონი კაშინმა შექმნა.

სტეფანი ლეიკმა, რომელიც მოდელიერის არქივის მფლობელია და მოდის ინდუსტრიაში 50-დან 80-იანი წლების ჩათვლით მოღვაწეობდა, ყურადღება მიაქცია, რომ ნარინჯისფერი წამოსასხამი, რომელიც რაფ სიმონსმა ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე წარმოადგინა, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ლაბადა, რომელიც ბონი კაშინმა 1976 წელს შექმნა. სტეფანი ლეიკი, რომელსაც ადრე ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, როგორ ითვისებდნენ წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი დიზაინერის მიერ შექმნილ ნივთებს, ამ შემთხვევამ აღაშფოთა. მან ინსტაგრამში შექმნა აკაუნტი, რომელშიც თვალს ადევნებს კოპირების მაგალითებს. აღსანიშნავია, რომ მან ბონი კაშინის მიერ შექმნილ სამოსთან მსგავსება შენიშნა ისეთი ბრენდების მიერ შექმნილ ჩასაცმელებში, როგორებიცაა Miu Miu, Rachel Zoe, Lisa Perry da Coach-ი.

# დავით გუგუშვილი: „ევროთასებზე კარგად წარვდგებით“



საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ბათუმი ევროპული რაგბის კონტინენტის ფარზე მიიღებს მონაწილეობას.

წესით ამ ტურნირზე ჩემპიონ გორის ჯიქს უნდა ეთამაშა, თუმცა ევროთასებში მონაწილეობისთვის საჭირო თანხის გამონახვა ვიცე-ჩემპიონმა ბათუმმა მოახერხა და საქართველოს სახელს ამ ტურნირში ზღვისპირელები დაიცავენ.

ბათუმი ბ ჯგუფშია და მისი მეტოქეები იქნებიან: ტიმიშოარა-სარასენსი (რუმინეთი), როვიგო, ვიადანა (ორივე იტალია) და ჰაიდელბერგი (გერმანია). ჯგუფის 2 მოწინავე პლეი ოფში გადის და იანვარში ა ჯგუფის გამარჯვებული ბ ჯგუფის მეორეადგილოსანს, ხოლო ბ ჯგუფის გამარჯვებული – ა ჯგუფის მეორეადგილოსანს შინ და გარეთ ეთამაშება.

ბათუმი ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში იტალიაში როვიგოსთან, 14 ოქტომბერს გამართავს, 21 ოქტომბერს ჰაიდელბერგს ბათუმში მიიღებს, 9 დეკემბერს კიდევ ერთხელ ჩავა იტალიაში და ვიადანას შეხვდება, ხოლო ჯგუფურ ეტაპს 16 დეკემბერს, ბათუმში ტიმიშოარა-სარასენსთან მატჩით დაასრულებს.

**დავით გუგუშვილი,** *ბათუმის მწვრთნელი:*

– რა თქმა უნდა, იტალიურ გუნდებთან შინ თამაში გვერჩივნა, მაგრამ კალენდარი ჩვენი შესარჩევი არ იყო. ჩვენ ამ ტურნირზე პირველად ვმონაწილეობთ. თუ არ ჩავთვლით ჰაიდელბერგს, 3 თანაბარი, ძლიერი გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. რთული შეხვედრები გველის, თუმცა იმედიანად ვართ და ვეცდებით პლეი ოფის საგზური მოვიპოვოთ. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ არავისთან არაფერს დავთმობთ და არავისთვის ვიქნებით საჩუქარი.

***– კონტინენტის ფარზე პირველი მატჩი იტალიაში, როვიგოს წინააღმდეგ გიწევთ.***

– ვუყურეთ როვიგოსა და ვიადანას შეხვედრას. როვიგო უფრო დაბალანსებული გუნდია, კარგად თამაშობს როგორც შერკინებით, ასევე ხაზით. გვეუბნებიან, რომ იტალიელებს ქართული ხასიათი აქვთ, თუმცა ვფიქრობთ, შერკინებაში ხელმოცარულები არ დავრჩებით და ჩვენი სწრაფი უკანახაზელებიც არაფერს დათმობენ. რა თქმა უნდა, გვაქვს სხვა კოზირებიც და იმედია, პირველ მატჩში წარმატებას მივაღწევთ.

***– შემდეგ ბათუმში ჰაიდელბერგს მიიღებთ.***

– ევროთასებში მონაწილეობის გამოცდილება ჩვენს გარდა ყველა გუნდს აქვს, მათ შორის ჰაიდელბერგსაც. ვნახეთ მათი შეხვედრების ჩანაწერი, ზორბა ბიჭები ჰყავთ, თუმცა სისწრაფეში მოიკოჭლებენ და დანარჩენებზე სუსტი გუნდია.

***– ვიადანასთან სტუმრად თამაშის შემდეგ, ჯგუფურ ეტაპს ბათუმში, ტიმიშოარა-სარასენსთან შეხვედრით ასრულებთ.***

– ტიმიშოარა-სარასენსი და როვიგო, ჩვენს მეტოქეებს შორის ყველაზე გამოცდილი გუნდები არიან. რუმინელებს სწრაფი და ტექნიკური ბიჭები ჰყავთ, მათ შორის ლეგიონერები კუნძულებიდან – ფიჯიდან და ტონგადან. ისინი ყოველთვის წარმატებით გამო-

გაგრძელება მე-9 გვერდზე


## განცხადებები

### ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ევროპაში ტურინული და ლონდონური დერბია

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპაში მაინცდამაინც გამორჩეული ტური არ არის, მაგრამ რამდენიმე თამაშის გამოყოფა შეიძლება.

იტალიაში ტურინული დერბია – იუვენტუსი-ტორინო, ხოლო ინგლისში ლონდონური – ვესტ ჰემი-ტოტენჰემი. ინგლისშივე საინტერესო მატჩი იქნება ლესტერი-ლივერპული. ეს გუნდები ახლახან ლიგის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს და მელიებმა ფავორიტად შერაცხული ლივერპული დაიფრინეს.

კარგი თამაშია ესპანეთშიც – ატლეტიკო შინ დაუხვდება სევილიას.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.09 ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 23.09 ევერტონი-ბორნმუთი | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 23.09 სიტი-კრ.პალასი | 1.14 | 7.5 | 19.0 |
| 23.09 საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 4.8 | 3.6 | 1.73 |
| 23.09 სუონსი-უოტფორდი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 23.09 სტოკი-ჩელსი | 5.5 | 3.8 | 1.61 |
| 23.09 ბარნლი-ჰადერსფილდი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 23.09 ლესტერი-ლივერპული | 3.8 | 3.6 | 1.91 |
| 24.09 ბრაიტონი-ნიუკასლი | 2.7 | 3.0 | 2.8 |
| 25.09 არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.33 | 5.0 | 9.0 |

**ვესტ ჰემი-ტოტენჰემი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-არავინ

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვიქტორ ვანუამა, ერიკ ლამელა, დენი როუზი

**ევერტონი-ბორნმუთი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯეიმს მაკკარტნი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ ფედერიკი

**სიტი-კრ.პალასი**

სიტი: ***ტრავმ***-ვინსენტ კომპანი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ვილფრედ ზაჰა, პაპე სუარე

**საუთჰემპტონი-მანჩესტერი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-პოლ პოგბა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ლუკ შოუ, მარკოს როხო

**სუონსი-უოტფორდი**

სუონსი: ***ტრავმ***-კილი ბარტლი, ნათან დაიერი

უოტფორდი: ***ტრავმ***-იუნის კაბული, მაურო ზარატე

**სტოკი-ჩელსი**

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეფ კამერონი, იბრაჰიმ აფელაი, სტივენ აირლანდი

ჩელსი: ***ტრავმ***-დანი დრინკვოთერი

**ბარნლი-ჰადერსფილდი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ტომ ჰატონი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-კეისი პალმერი

**ლესტერი-ლივერპული**

ლესტერი: ***ტრავმ***-კრისტიან ფუჩსი

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა, ნათანიელ კლაინი

**ბრაიტონი-ნიუკასლი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ისაია ბრაუნი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამერტი

**არსენალი-ვესტ ბრომვიჩი**

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 16-2 | 13 |
| 2.მანჩესტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 16-2 | 13 |
| 3.ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 4.ნიუკასლი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-4 | 9 |
| 5.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-3 | 8 |
| 6.ჰადერსფილდი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 7.ბარნლი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 8.ლივერპული | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 9.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 11.უოტფორდი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-9 | 8 |
| 12.არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 13.სტოკი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 14.სუონსი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| 15.ლესტერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-9 | 4 |
| 16.ბრაიტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 17.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| 18.ევერტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-10 | 4 |
| 19.ბორნმუთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |
| 20.კრ.პალასი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-8 | 0 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.09 ატლეტიკო-სევილია | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 23.09 ალავესი-რეალი | 13.0 | 7.5 | 1.18 |
| 23.09 მალაგა-ბილბაო | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 23.09 ხირონა-ბარსელონა | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 24.09 ესპანიოლი-დეპორტივო | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 24.09 ხეტაფე-ვილიარეალი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 24.09 ეიბარი-სელტა | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 24.09 ლას პალმასი-ლეგანესი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 24.09 სოსიედადი-ვალენსია | 2.25 | 3.5 | 3.0 |
| 25.09 ბეტისი-ლევანტე | 1.8 | 3.6 | 4.4 |

**ატლეტიკო-სევილია**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-ნოლიტო, გვიდო პიზარო

**ალავესი-რეალი**

ალავესი: ***ტრავმ***-ბოიან კრკიჩი, ექტორი

რეალი: ***ტრავმ***-ტეო ერნანდესი, კარიმ ბენზემა, მატეო კოვაჩიჩი, მარსელო

**მალაგა-ბილბაო**

მალაგა: ***ტრავმ***-ხუანკარი

ბილბაო: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი

**ხირონა-ბარსელონა**

ხირონა: ***ტრავმ***-კარლეს პლანასი

ბარსელონა: ***ტრავმ***-უსმან დემბელე, რაფინია

**ესპანიოლი-დეპორტივო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხავი ლოპესი

დეპორტივო: ***ტრავმ***-სიდნეი, ადრიანი, ზაკარია ბაკარი, პედრო მოსკერა, რუბენი

**ხეტაფე-ვილიარეალი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-გაკუ შიბასაკი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ანდრეს ფერნანდესი

**ეიბარი-სელტა**

ეიბარი: ***ტრავმ***-ივან ალიეხო, პედრო ლეონი, ფრან რიკო

სელტა: ***ტრავმ***-ნემანია რადოია

**ლას პალმასი-ლეგანესი**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-დანიელ კასტელანო, უსამა ტანანე, ლიოკ რემი, პედრო ბიგასი, ალენ ჰალილოვიჩი

ლეგანესი: ***ტრავმ***-ნაბილ ელ ზაარი, ეზეკიელ მუნიოსი

**სოსიედადი-ვალენსია**

სოსიედადი: ***ტრავმ***-რაულ ნავასი

ვალენსია: ***ტრავმ***-რუბენ ვეზო

**ბეტისი-ლევანტე**

ბეტისი: ***ტრავმ***-ხუან ნარვაესი, ალინ ტოსკა

ლევანტე: ***ტრავმ***-ჯეფერსონ ლერმა, ივან ლოპესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 17-2 | 15 |
| 2.სევილია | 5 | 4 | 1 | 0 | 7-1 | 13 |
| 3.ატლეტიკო | 5 | 3 | 2 | 0 | 10-4 | 11 |
| 4.ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| 5.ლევანტე | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 6.სოსიედადი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-10 | 9 |
| 7.ბეტისი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-7 | 9 |
| 8.რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| 9.ვილიარეალი | 4 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 10.ბილბაო | 5 | 2 | 1 | 2 | 4-3 | 7 |
| 11.ლეგანესი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-3 | 7 |
| 12.ლას პალმასი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| 13.ეიბარი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-10 | 6 |
| 14.ხეტაფე | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 15.ხირონა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |
| 16.ესპანიოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 | 5 |
| 17.სელტა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 18.დეპორტივო | 5 | 1 | 1 | 3 | 6-11 | 4 |
| 19.ალავესი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-8 | 0 |
| 20.მალაგა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-11 | 0 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.09 შტუტგარტი-აუგსბურგი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 23.09 ლაიფციგი-აინტრახტი | 1.73 | 3.8 | 4.6 |
| 23.09 მაინცი-ჰერტა | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 23.09 ჰოფენჰაიმი-შალკე | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 23.09 ვერდერი-ფრაიბურგი | 1.7 | 4.0 | 4.4 |
| 23.09 დორტმუნდი-გლადბახი | 1.44 | 5.0 | 6.0 |
| 24.09 ჰანოვერი-კიოლნი | 1.95 | 3.5 | 3.8 |
| 24.09 ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.4 | 5.0 | 7.0 |

**შტუტგარტი-აუგსბურგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-კრისტიან გენტნერი, ჰოლგერ ბადშტურბერი, მატიას ზიმერმანი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-არავინ

**ლაიფციგი-აინტრახტი**

ლაიფციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი, დაი უპამეკანო

აინტრახტი: ***ტრავმ***-დანი და კოსტა

**მაინცი-ჰერტა**

მაინცი: ***ტრავმ***-კენან კოდრო

ჰერტა: ***ტრავმ***-არავინ

**ჰოფენჰაიმი-შალკე**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ადამ ზალაი

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

**ვერდერი-ფრაიბურგი**

ვერდერი: ***ტრავმ***-მაქს კრუზე

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ამირ აბრაში, ვინსენტ სიერო, მაქს-ოლივერ კემპი

**დორტმუნდი-გლადბახი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარკ ბარტრა, მარსელ შმელცერი, ანდრე შურლე, ერიკ დარმი, მარკო როისი, პარკ ჯოო-ჰო

გლადბახი: ***ტრავმ***-ლასლო ბენესი, იბრაჰიმა ტრაორე, იოსიპ დრმიჩი

**ჰანოვერი-კიოლნი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჯონატასი, ფელიპე, ჩარლისონ ბენშოპი

კიოლნი: ***ტრავმ***-იონას ექტორი

**ლევერკუზენი-ჰამბურგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტინ იედვაი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-რიკ ვან დრონგელენი, ფილიპ კოსტიჩი, აარონ ჰანტი, ნიკოლაი მიულერი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-0 | 13 |
| 2.ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-3 | 12 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 4.ჰანოვერი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 5.აუგსბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 6.შალკე | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 7.გლადბახი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8.ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 9.ლაიპციგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 10.აინტრახტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-3 | 7 |
| 11.ჰამბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-8 | 6 |
| 12.შტუტგარტი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-7 | 6 |
| 13.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 14.ლევერკუზენი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-10 | 4 |
| 15.მაინცი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-10 | 3 |
| 16.ფრაიბურგი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-9 | 3 |
| 17.ვერდერი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |
| 18.კიოლნი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-13 | 0 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.09 რომა-უდინეზე | 1.25 | 6.0 | 11. |
| 23.09 სპალი-ნაპოლი | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 23.09 იუვენტუსი-ტორინო | 1.4 | 4.5 | 7.5 |
| 24.09 სამპდორია-მილანი | 3.4 | 3.25 | 2.05 |
| 24.09 კალიარი-კიევო | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 24.09 ვერონა-ლაციო | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 24.09 ინტერი-ჯენოა | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 24.09 კროტონე-ბენევენტო | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 24.09 სასუოლო-ბოლონია | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 24.09 ფიორენტინა-ატალანტა | 2.1 | 3.6 | 3.3 |

**რომა-უდინეზე**

რომა: ***ტრავმ***-რაჯა ნაინგოლანი

უდინეზე: ***ტრავმ***-სტიპე პერიცა

**სპალი-ნაპოლი**

სპალი: ***ტრავმ***-ლუკა რიცო, სერჟიო ფლოკარი, მარიოს ოიკონომუ

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლეანდრინიო, ლორენცო ტონელი

**იუვენტუსი-ტორინო**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ბენედიკტ ჰოივედესი, მატი დე შილიო, სამი ხედირა, კლაუდიო მარკიზიო, მარკო პიაცა

ტორინო: ***ტრავმ***-ანტონიო ბარეკა, ჯოელ ობი

**სამპდორია-მილანი**

სამპდორია: ***ტრავმ***-ფილიპ ჯურიჩიჩი, დოდო

მილანი: ***ტრავმ***-რიკარდო მონტოლივო, ანდრეა კონტი, ლუკა ანტონელი

**კალიარი-კიევო**

კალიარი: ***ტრავმ***-გრეგორი ვან დერ ვილი

კიევო: ***ტრავმ***-მასიმო გობი, ნიკოლას ფრეი

**ვერონა-ლაციო**

ვერონა: ***ტრავმ***-ალექს ფერანი, მოჰამედ ფარესი

ლაციო: ***ტრავმ***-არავინ

**ინტერი-ჯენოა**

ინტერი: ***ტრავმ***-ჟოაო კანსელო

ჯენოა: ***ტრავმ***-ნიკოლას სპოლი, გორან პანდევი, ჯანლუკა ლაპადულა

**კროტონე-ბენევენტო**

კროტონე: ***ტრავმ***-ბრუნო მარტელა, სიმი, ანდრეა ნალინი

ბენევენტო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, მარკო დალესანდრო, ამატო ჩიჩირეტი, ანდრეა კოსტა

**სასუოლო-ბოლონია**

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, ნიკოლას პერინი

ბოლონია: ***ტრავმ***-ლადისლავ კრეიცი, დომენიკო მაიეტა, ვასილის ტოროსიდისი

**ფიორენტინა-ატალანტა**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 5 | 5 | 0 | 0 | 19-3 | 15 |
| 2.იუვენტუსი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-3 | 15 |
| 3.ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 4.მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-6 | 12 |
| 5.ტორინო | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 6.ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 10-8 | 10 |
| 7.რომა | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 8.სამპდორია | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 9.ატალანტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 5 | 2 | 0 | 3 | 8-7 | 6 |
| 11.კალიარი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-6 | 6 |
| 12.კიევო | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 13.ბოლონია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 14.სპალი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 15.სასუოლო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 16.უდინეზე | 5 | 1 | 0 | 4 | 7-10 | 3 |
| 17.ჯენოა | 5 | 0 | 2 | 3 | 5-9 | 2 |
| 18.ვერონა | 5 | 0 | 2 | 3 | 1-11 | 2 |
| 19.კროტონე | 5 | 0 | 1 | 4 | 1-11 | 1 |
| 20.ბენევენტო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.09 მონპელიე-პსჟ | 15.0 | 7.0 | 1.17 |
| 23.09 მეცი-ტრუა | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 23.09 ბორდო-გენგამი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 23.09 კაენი-ამიენი | 1.91 | 3.25 | 4.2 |
| 23.09 ლიონი-დიჟონი | 1.3 | 5.5 | 9.0 |
| 24.09 სტ.ეტიენი-რენი | 2.05 | 3.25 | 3.8 |
| 24.09 სტარსბურგი-ნანტი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 24.09 მარსელი-ტულუზა | 1.55 | 4.0 | 6.0 |

**მონპელიე-პსჟ**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჯოვანი სიო

პსჟ: ***ტრავმ***-ანხელ დი მარია, მარკო ვერატი

**მეცი-ტრუა**

მეცი: ***ტრავმ***-იბრაჰიმა ნიანე, ბენუა ასოუ-ეკოტო

ტრუა: ***ტრავმ***-ნებჯამინ ნივე

**ბორდო-გენგამი**

ბორდო: ***ტრავმ***-არავინ

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

**კაენი-ამიენი**

კაენი: ***ტრავმ***-ადამა მბენგე, სტივ ფეტერსი, ალექსანდერ ჯიკუ

ამიენი: ***ტრავმ***-ჯესომა ფოფანა

**ლიონი-დიჟონი**

ლიონი: ***ტრავმ***-პაპე დიოპი

დიჟონი: ***ტრავმ***-ვესლი ლაუტოა

**სტ.ეტიენი-რენი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰამუმა, ვინსენტ პაიო

რენი: ***ტრავმ***-ედსონ მექსე, ჯორდან ტელი, იოან გურკუფი

**სტარსბურგი-ნანტი**

სტარსბურგი: ***ტრავმ***-კენი ლალა

ნანტი: ***ტრავმ***-დიეგო კარლოსი, სამუელ მუტუსამუ, ვალენტინ რონიე

**მარსელი-ტულუზა**

მარსელი: ***ტრავმ***-კლინტონ მუანჯიე

ტულუზა: ***ტრავმ***-მაქს გრადელი, იაია სანოგო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 6 | 6 | 0 | 0 | 21-3 | 18 |
| 2.მონაკო | 6 | 5 | 0 | 1 | 17-8 | 15 |
| 3.სტ.ეტიენი | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 4.ბორდო | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 | 12 |
| 5.ლიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 6.მარსელი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-10 | 10 |
| 7.ნანტი | 6 | 3 | 1 | 2 | 3-4 | 10 |
| 8.ნიცა | 6 | 3 | 0 | 3 | 8-6 | 9 |
| 9.კაენი | 6 | 3 | 0 | 3 | 5-4 | 9 |
| 10.გენგამი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-8 | 9 |
| 11.ანჟე | 6 | 1 | 4 | 1 | 7-6 | 7 |
| 12.მონპელიე | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 7 |
| 13.ტულუზა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-12 | 7 |
| 14.ამიენი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-9 | 6 |
| 15.რენი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-10 | 5 |
| 16.ტრუა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-6 | 5 |
| 17.ლილი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |
| 18.დიჟონი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 19.სტრასბური | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |
| 20.მეცი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-12 | 3 |

# დავით გუგუშვილი: „ევროთასებზე კარგად წარვდგებით“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დიოდნენ ევროტურნირებში, თუმცა ჩვენ არავისთან არაფერს დავთმობთ და იოლი მეტოქე არავისთვის ვიქნებით. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

***– ევროთასებზე პირველად გიწევთ თამაში, ეს არ იმოქმედებს?***

– ადრე ბათუმის დათვები თამაშობდა ევროთასზე და ამ შეხვედრებში მეც მაქვს მონაწილეობა მიღებული, თუმცა ის სულ სხვა ტურნირი იყო. ზაფხულში გამოცდილი მორაგბეები დავიმატეთ, ერთი გუნდის სახელით არა, თუმცა სათითაოდ ამ ბიჭებს უცხოელების წინააღმდეგ თამაშის გამოცდილება ნამდვილად არ აკლიათ. როგორც მინიმუმ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მაინც, თითქმის ყველა მათგანი იყო. ახლა მთავარია კარგად მოხდეს ამ ბიჭების შეთამაშება, ევროთასების შეხვედრებს ოპტიმალური შემადგენლობით შევხვდეთ და ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

***– როვიგოსთან მატჩამდე დიდი 10-ის 3 ტურია. ამ შეხვედრებს ევროტურნირისთვის მოსამზადებლად გამოიყენებთ?***

– ამ ეტაპზე ევროთასებზე ნაკლებად ვფიქრობთ. ჩვენთვის მთავარი ყოველთვის ის თამაშია, რომელიც უახლოეს შაბათ-კვირას გველის და ასე იქნება ამჯერადაც. როვიგოსთან მატჩზე მხოლოდ მათთან შეხვედრის კვირაში ვიმუშავებთ, მანამდე კი, დიდი 10-ია. მეორეს მხრივ, კარგია, რომ იტალიელებთან მატჩამდე დიდი 10-ის 6 შეხვედრა გვექნება ჩატარებული. ეს გუნდის შეთამაშებაში და პრობლემების აღმოფხვრაში დაგვეხმარება. იმედია იტალიაში გამგზავრებისას ფორმის პიკში ვიქნებით.

– ამ შაბათს იტალიის ჩემპიონატიც იწყება.

– ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით კონკურეტების თამაშს. თვალს ვადევნებთ რუმინეთის სუპერლიგას და ტიმიშოარა-სარასენსის შეხვედრებსაც.

– რა იქნება ბათუმის კოზირი მომავალ შეხვედრებში?

– ნებისმიერ მეტოქესთან სიტუაციიდან გამომდინარე ვითამაშებთ. შევისწავლით ყველა მოწინააღმდეგეს და სათამაშო გეგმასაც ამის მიხედვით შევადგენთ. მართალია სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, მაგრამ გვყავს ლიდერები, რომელთა გარშემოც გუნდი შეიკვრება და ევროთასებზეც კარგად წარვდგებით.

# სოსო პავლიაშვილი ყაზახეთში დააჯილდოვეს



მომღერალი სოსო პავლიაშვილი ყაზახეთში ალმა ატისადმი მიძღვნილ კონცერტზე სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. მას ევრაზიის საუკეთესო არტისტის წოდება მიანიჭეს.

სოსო პავლიაშვილი:

— ჩემი ოცნება ახდა. ჩემი შრომა, უსაზღვრო სიყვარული მუსიკისადმი, მაყურებლისადმი, კოლეგებისადმი და სცენისადმი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება. პირველად ჩემს ცხოვრებაში გადმომეცა უძვირფასესი ჯილდო. მჯერა, რომ წინ კიდევ ბევრი გამარჯვებაა და ქედს ვიხრი თითოეული ადამიანის წინაშე, ვინც ჩემს შემოქმედებას აფასებს. დაეხმარეთ ნიჭიერ ადამიანებს და ეს სიკეთე აუცილებლად წინ დაგხვდებათ.

# გელა დაიაური თეონა ქუმსიაშვილს ემოციურ ჩანაწერს უძღვნის



პოეტი გელა დაიაური ტრაგიკულად დაღუპულ მეუღლეს, მომღერალ თეონა ქუმსიაშვილს და შვილებს დემეტრეს და ჯარჯის ემოციურ ჩანაწერს უძღვნის:

— ყველაფერი დავკარგე და დავცარიელდი... დაცარიელდა სამყარო... ვგრძნობდი, რომ რაღაც დიდი გავიდა ჩემი სულიდან... სულ ვფიქრობდი, ოჯახი დავკარგე და ესაა მიზეზი-თქო.

არა და შენთან და თქვენთან ერთად იმედი დამიკარგავს, თეო... იმედი, რომ როდესმე ბედნიერი ვიქნები, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ მზეს და გაზაფხულს ოდესმე ისეთივე მადლი და სურნელი ექნება, როგორც შენამდე და თქვენამდე...

იმედიც გამოგყოლიათ ჩემო თბილებო..
იმედი... იმედიი.. იმედიიიი!!!
მიყვარხარ, კუნწულიკო.

# დავით გარეჯის უდაბნოში შუა საუკუნეების სპილენძის უნიკალური კოლექცია აღმოაჩინეს



არქეოლოგების ჯგუფმა დავით გარეჯის უდაბნოში წმინდა დავითის ლავრაში მიმდინარე წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური სამუშაოების დროს, შუა საუკუნეების სპილენძის უნიკალურ სამონასტრო ჭურჭელს და შანდლების კოლექციას მიაკვლიეს.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ ბახტაძემ გაავრცელა:

— ნეკრესის ნაქალაქარის კვლევა, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და მომავალშიც ახალი ენერგიით გაგრძელდება...

ამასთან, ორიოდე დღის წინ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ამავე ჯგუფმა, დავით გარეჯის უდაბნოში, წმინდა დავითის ლავრაში მიმდინარე წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური სამუშაოებისას, შუა საუკუნეების სპილენძის უნიკალური სამონასტრო ჭურჭლის და შანდლების კოლექციას მიაკვლია...

სავარაუდოდ, სატრაპეზოს კუთვნილი ეს განძი, მონასტრის საძმოს წევრებმა საქართველოს ამ მხარეში ირანელი დამპყრობლების ლაშქრობის დროს გადამალეს მე-17 საუკუნის დასაწყისში.

# რუსთავის თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს



გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს.

ამ თანამდებობაზე რეჟისორი სოსო ნემსაძე დაინიშნა, რომელიც მანამდე გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

წელს რუსთავის თეატრი დაარსებიდან 50 წლის იუბილეს აღნიშნავს. საიუბილეო თეატრალური სეზონი ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, მრავალფეროვანი და სიახლეებით დატვირთული იქნება.

# მარიამ ხაჭვანი: „მიხედეთ უშგულის მაჩუბებს!“



რეჟისორ მარიამ ხაჭვანს წინაპრების მიერ საუკუნეების წინ აშენებული მაჩუბების მძიმე მდგომარეობა ძალიან აწუხებს და მათ სავალალო მდგომარეობას ფართო საზოგადოებას აცნობს:

— უშგულის შუკებში დავიარები, ერთი ძველი „მაჩუბი“ მიყურებს, მეჩვენება, რომ თვალებში მიყურებს. კი არ მეჩვენება, ნამდვილად თვალებში მიყურებს. ალბათ მერვე საუკუნის იქნება. წაქცევა უნდა, მაგრამ ხელს ორი მორი უშლის, რომლებიც მის გამაგრებას ცდილობენ.

ეს მაჩუბი სხვას არ ჰგავს, ლამაზია, დაბზარული, ნაოჭებიანი, მუქი, ყორნისფერი ქვით აშენებული, თავზეც ლამაზი გვირგვინი ახურავს, ყველასგან განსხვავებული.

მენანება...

მრცხვენია და თვალს ვერ ვუსწორებ...

მერე სხვაგან გავიხედავ...

თვალში სხვა კოშკი მხვდება, ისიც გაბზარული, მაგრამ, ის მისთვის დგას მორიდებულად, მთვრალი კაცივით. თითქოს ეშინია ჩემსკენ გამოხედვის, უცაბედად რომ არ წაიქცეს...

არავის აწუხებს. არავის აშინებს...

ალბათ ისიც ჩუმად დაინგრევა, ისიც ხმის ამოუღებლად, როგორც ის ტყუპისცალი კოშკი...

საქართველოს მუზეუმებში ინკლუზიური პროგრამები დამკვიდრდება

„ინკლუზიური განათლება საქართველოს მუზეუმებში“ — ასე ეწოდება პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ინკლუზიური პროგრამების დამკვიდრებას საქართველოს სამუზეუმო სივრცეში.

პროექტში ჩაერთვება 21 მუზეუმი მთელი საქართველოს მასშტაბით და მისი ხანგრძლივობა 16 თვე იქნება. იგი განხორციელდება საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან პარტნიორობით და ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში.

პროექტი მოიცავს მონაწილე მუზეუმების თანამშრომელთა ტრენინგებს, სპეციალური სახელმძღვანელოს გამოცემას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. პროგრამა შედგება ორი კომპონენტისაგან, დარბაზის დათვალიერება და შემოქმედებითი აქტივობა. პროექტის ფარგლებში შეიქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მონაცემთა ბაზა და განხორციელდება შშმ ბავშვების ჯგუფების ვიზიტები მუზეუმებში.

საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების საფუძველზე შეიქმნება სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც პროექტში ჩართული მუზეუმების თანამშრომელთათვის, ასევე ნებისმიერი ინკლუზიური პროგრამების დანერგვით დაინტერესებული მუზეუმებისა თუ გალერეებისათვის.

პროექტის ბოლო ეტაპზე პროექტში ჩართულ მუზეუმებში ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამების დამკვიდრების მიზნით, ადვოკატირების კამპანია წარიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## 23 სექტემბრისათვის



**ვერძი** — კეთილისმყოფელი დღეა. ნუ გარისკავთ და ნურც ნურანაირ ავანტიურაში ჩაერთვებით. **კურო** — თუ ფინანსური მდგომარეობა საშუალებას მოგცემთ, დაკავდით ქველმოქმედებით. იყავით მშვიდი და გულმოწყალე. **ტყუპები** — დათრგუნეთ თქვენში ეგოიზმი. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ ადამიანებს. სხვისი ინტერესები გაითვალისწინეთ. **კირჩხიბი** — პირად ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ გაქვთ, როგორც ისურვებდით. ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. უმჯობესია, საყვარელი საქმე აკეთოთ. **ლომი** — ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ გონიერება და ემოციებს ნუ აჰყვებით. **ქალწული** — დაკავდით სპორტით. გუნება-განწყობას გამოგიკეთებთ სუფთა ჰაერზე ფეხით სეირნობაც. **სასწორი** — წარმოქმნილი პრობლემების გამო კოლეგებთან ურთიერთობაც გეძაბებათ. საქმიანი შეხვედრებისათვის დღევანდელი დღე შეუფერებელია. **ღრიანკალი** — იაქტიურეთ. ძალებს ნუ დაზოგავთ და მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. **მშვილდოსანი** — იყავით სამართლიანი, ნურავის დაჩაგრავთ. გაითვალისწინეთ სხვა ადამიანების ინტერესები. **თხის რქა** — უფროსობას ნუ შეეკამათებით. დაზარალდებით. ხალხმრავალ ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ. ბევრი ისეირნეთ და გაერთეთ.**თევზები** — კეთილისმყოფელი დღეა. მრავალ პრობლემას მოაგვარებთ. ემოციები აკონტროლეთ.

## 24 სექტემბრისათვის

**ვერძი** — გამოფხიზლდით. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი მრავალმხრივ წარმოაჩინოთ. არ იზარმაცოთ. **კურო** — საოჯახო საქმეების მოწესრიგებაზე დილიდანვე იზრუნეთ. სიტუაცია რეალურად შეაფასეთ და გადაწყვეტილებები ისე მიიღეთ. **ტყუპები** — ძლიერი ემოციები შეცდომის დაშვების რისკს ზრდის. მოდუნდით და თავი შეიკავეთ კონფლიქტში ჩართვისაგან. **კირჩხიბი** — უსიამოვნო ინფორმაცია დაგძაბავთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას პლანეტები არ გირჩევენ. **ლომი** — ენერგიულად ხართ. დღეს შესაძლოა სამსახური შეიცვალოთ. **ქალწული** — ბრმად არავის მიენდოთ. შესაძლოა მოტყუვდეთ და შეცდომა დაუშვათ. **სასწორი** — საკუთარი პრინციპები ნებისმიერ შემთხვევაში დაიცავით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და მოწესრიგდით.**ღრიანკალი** — პოზიტიური დღეა. სამსახურის ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა წარმატებას მოგიტანთ. **მშვილდოსანი** — ახალ ნაცნობობასა და ხალხმრავლობას ერიდეთ. საყვარელ ადამიანს ნუ წაეჩხუბებით. იყავით დამთმობი და ლოიალური. **თხის რქა** — საპირისპირო სქესთან ურთიერთობა იღბლიანი იქნება. მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ხერხის გამოყენება რეკომენდებული არ არის. **მერწყული** — იმოქმედეთ დამოუკიდებლად. იქონიეთ საკუთარი თავის რწმენა. ვარსკვლავები გწყალობენ. **თევზები** — დღის პირველ ნახევარში ენერგიულად და ხალისიანად ხართ. საღამოს მიიღეთ წყლის პროცედურები, დაკავდით სპორტით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ექიმის, მკურნალის ლათინური სახელწოდება; 4. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 5. რძეში მოზელილი კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 9. აეროპორტი პრაღაში; 11. ნიმუში, ტრაფარეტი; 12. მოხეტიალე ცირკი; 14. მდინარე ამსტერდამში; 18. სპორტული, სასეირნო ნავი; 19. ფინეთის პარლამენტი.

**თარაზულად:** 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. უბანი თბილისში; 7. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 8. ნარკოტიკებით წვრილმანი მოვაჭრე აშშ-ში; 10. ლიმონის წვენითა და შაქრიანი წყლით შეზავებული ცხელი რომი; 13. მოუქნელი, ზანტი ადამიანი; 15. დედამიწის ზედაპირზე მაგმის ვულკანიდან ამოფრქვევის პროცესი; 16. უნგრული ნაგაზი; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 21. აჭარული ცეკვა; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მსჯავრი; 2. მესეფი; 3. შუშაბანდი; 4. ქურუმი; 5. კემპინგი; 7. იაკი; 11. ნექტარი; 13. ბოღლიწო; 15. არაყი; 16. მახრა; 18. შტაბი; 19. ლორდი.

**თარაზულად**: 6. სატივე; 8. კეტჩუპი; 9. ჰარლემი; 10. ვარიანი; 12. ქიმია; 14. მილანი; 17. დუღაშვილი; 20. დიაფანი; 21. ჭყვიში; 22. ბერდია; 23. საფიხვნო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ფოლორცი; 2. ვირსალაძე; 3. მოტოროლა; 4. ბრონქსი; 5. არაგვი; 9. მაგატე; 11. სანდალი; 12. დინარი; 14. ცისტიტი; 18. იდიში; 19. სიმდი.

**თარაზულად**: 4. ბემოლი; 5. ალბინოსი; 6. ფოლგა; 7. გომბორი; 8. ესკიმო; 10. კოქსი; 13. ცაცხვი; 15. ლენგლი; 16. ლუდი; 17. ბილი; 20. ტაბიძე; 21. სინოდი; 22. ბუშლატი; 23. დიზელი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4778 |
| ევრო | 2.9746 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3537 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2802 |

## ამინდის პროგნოზი 23 სექტემბრისთვის




## 14 სექტემბრიდან




### ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი, ტომი 1




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 სექტემბრიდან




### გიგო გაბაშვილი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 22 სექტემბრიდან




ალექსანდრე იასალაშვილი

### შავი ვარდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## კარლოს ტევესმა ჩინელ ფეხბურთელებს უნიჭოები უწოდა



არგენტინელმა ფორვარდმა კარლოს ტევესმა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი ჩინური გუნდის ღირსებას იცავს, განაცხადა, რომ ჩინელი ფეხბურთელები ნიჭიერები არ არიან და მათ ბევრი ვარჯიში სჭირდებათ წარმატების მისაღწევად.

– სამხრეთამერიკელებს და ევროპელებს ფეხბურთის ბუნებრივი ნიჭი აქვთ, რასაც ჩინელებზე ვერ ვიტყვი. მათ ფეხბურთში სერიოზული წარმატებისთვის მიღწევა გაუჭირდებათ, ამიტომ ისინი მუდამ უნდა ვარჯიშობდნენ, – განაცხადა კარლოს ტევესმა. ტევესის ეს სიტყვები ჩინელებს არ მოეწონათ და გულშემატკივრების ნაწილი ტევესის ჩინეთიდან წასვლას ითხოვს.

## ივან რაკიტიჩი: „მესისთან ერთად თამაში არც ისე იოლია“

ბარსელონას ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მასთან ერთად თამაში არც ისე იოლია. რაკიტიჩის აზრით, როდესაც მესი მოედანზეა, ყველა ფეხბურთელი ვალდებულია, რომ აქცენტი მასზე გააკეთოს.

– მესისგან უამრავი რამ ვისწავლე. ის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია და მის გვერდით თამაში დიდი პასუხისმგებლობაა. ჩვენ ყველანი ვცდილობთ, რომ მან რაც შეიძლება მეტი გოლი გაიტანოს, – განაცხადა ივან რაკიტიჩმა.



## იუმორი



მილიონერს ექიმი ეუბნება:

– თქვენ კიბო გაქვთ და მაქსიმუმ ერთი წლის სიცოცხლე დაგრჩათ.

დამწუხრებულმა სახლისკენ მიმავალმა მილიონერმა გზად ეკლესიაში შეიარა და ღვთის მსახურს ცოდვების შენდობა სთხოვა.

მღვდელმა მოუსმინა და ეუბნება:

– შვილო ჩემო, ერთ რჩევას მოგცემ. გაყიდე შენი ახალთახალი ძვირფასი მერსედესი და იყიდე უბრალო ძველი მანქანა, გაშორდი შენ ულამაზეს ცოლს და ცოლად რომელიმე უსახლკარო, მაწანწალა ქალი შეირთე. გაყიდე შენი სამსართულიანი სასახლე და იყიდე პატარა სახლი სადმე ქალაქის გარეუბანში...

– მამაო, ასე უფრო გავიხანგრძლივებ სიცოცხლეს?

– არა, შვილო ჩემო, მაგრამ ეს ერთი წელი საუკუნედ მოგეჩვენება...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მოდი ჩემთან, ძვირფასო...

– დაიძინე, ძვირფასო, დაიძინე, არსად ვაპირებ წასვლას.

●●●

მიხოს შვილმა ცოლი მოიყვანა. მამამთილს რძალი ყველანაირად კარგი გამოადგა, მაგრამ ერთი რამ არ მოსწონდა, რძალი „ბატონო მიხეილს“ ეძახოდა. ერთხელ გააფრთხილა, რომ „მამა“ დაეძახებინა, მეორედ, მესამედ, რძალი კი მაინც „ბატონო მიხეილს“ ეძახის. ბოლოს ყელში ამოუვიდა და რძალს ეუბნება:

– გოგო, სანამ დედას არ მ...ვ, მამას არ დამიძახებ?!!!

●●●

მოხუცი ქალი ბაზარში თაფლს ყიდის. ერთ-ერთი მყიდველი მიადგა და ერთხელ ამოუსვა თითი თაფლში და გემო გაუსინჯა, მეორედ, მესამედ, მეოთხედ.

მოხუცი ეუბნება:

– იყიდე, ნენა, მაი თაფლი თუ გინდა, თუ არადა, ნუ ურევ თითებს შით.

– რა არის ქალბატონო, ფუტკრის განავალს იმადლები?

– ფუტკრის რომაა იმიზა ვიმადლები, თვარა, ჩემი რამდენიც გინდა მიირთვი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 13 სექტემბრიდან

### ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




## 15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

### ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.




**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## ედისონ კავანი და ნეიმარი შერიგდნენ



პსჟ-ს ფორვარდები ედისონ კავანი და ნეიმარი შერიგდნენ და ნეიმარმა თავის გუნდს ბოდიში მოუხადა იმ ინციდენტის გამო, რომელიც ლიონთან შეხვედრისას მოხდა.

ლიონთან მატჩის დროს კავანიმ ნეიმარს პენალტის დარტყმის საშუალება არ მისცა, რამაც ბრაზილიელი გაანაწყენა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კავანიმ და ნეიმარმა კინაღამ იჩხუბეს და ისინი თანაგუნდელებმა გააშველეს.

ნეიმარმა თავისი დანაშაული აღიარა და ამის შემდეგ თერთმეტმეტრიან დარტყმებს ისევ ედისონ კავანი შეასრულებს. პსჟ-ს მომავალ შეხვედრებში გამოჩნდება, კონფლიქტი რეალურად ამოიწურა თუ არა.

## მარსელომ შესაძლოა ერთი თვე გამოტოვოს



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ შესაძლოა ტრავმის გამო ერთი თვე გამოტოვოს. მარსელომ ტრავმა ბეტისთან შეხვედრის დროს მიიღო, რომელიც რეალმა 0:1 წააგო. ჯერჯერობით ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, თუ როდის დაბრუნდება მარსელო, მაგრამ მინიმუმ ორი კვირის მანძილზე ის მოედანზე გამოსვლას ვერ შეძლებს.

რეალის ბრაზილიელი მცველი საკმაოდ იშვიათად იღებს ტრავმებს და რეალში ყოფნის დროს ის მხოლოდ რამდენჯერმე იმყოფებოდა გუნდის ლაზარეთში. ამჯერად მარსელოს შესაძლოა ერთთვიანი იძულებითი პაუზა გამოუვიდეს.

## ბარსელონა ლეონ გორეცკათი დაინტერესდა



ბარსელონამ ზამთარში შესაძლოა შალკეს 22 წლის ნახევარმცველი ლეონ გორეცკა იყიდოს. გორეცკა გერმანიაში ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება და მას უკვე ნაკრებშიც იწვევენ. ბარსელონა ზამთარში არდა ტურანის გაყიდვას აპირებს და გორეცკა, სავარაუდოდ, მისი შემცვლელი იქნება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონა უკვე დაუკავშირდა როგორც ფეხბურთელს, ასევე მის აგენტს. გორეცკას სატრანსფერო ფასი, სავარაუდოდ, 20 მილიონი ევრო იქნება, თუმცა შალკემ შესაძლოა უფრო მეტიც მოითხოვოს. გორეცკას შეძენა მიუნხენის ბაიერნსაც სურს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. საეკლესიო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 2. კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავი ქალი; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 5. რაიმეს სახეცვლილება, ნაირსახეობა; 7. აღმოსავლური ტკბილეული; 11. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 13. ქართველი პრიმა-ბალერინა; 15. განსაზღვრული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 16. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 18. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 19. რაიმე ელემენტების პერიოდული, თანაბარზომიერი მონაცვლეობა.

**თარაზულად:** 6. კვანტური ფიზიკის ფუძემდებელი გერმანელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. სილის გორაკი უდაბნოში; 9. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 10. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 12. სხვაობა ფასიანი ქაღალდების საყიდ და გასაყიდ ფასებს შორის; 14. მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი; 17. ერთკუზიანი აქლემი; 20. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. სივრცე სახლის სახურავსა და ჭერს შორის; 22. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 23. ესტრადის მომღერალთა სახელწოდება საფრანგეთში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**